ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 12 სექტემბერი, 2019 | №216 (8170) | ფასი: 60 თეთრი

## ბექა მინდორაშვილი: „პოლიტიკაში ფეხებით დამკიდეს და ამიტომ ვთქვი, რომ ვანო მახარაშვილი მე მოვკალი“



გვ.5

# „ქართული ოცნება“ მალე თავისიანების დაჭერას დაიწყებს“



გვ.3

გურამ ჩალაგაშვილი: „ოცნება“ თავისით არსად წავა, ის ჩვენ უნდა გავუშვათ! “

## ლევან ხაბეიშვილი: „კალაძემ საკუთარი კომფორტისთვის თბილისის ბიუჯეტი გადაჭამა“

გვ.3

აგვისტოს თვეში მხოლოდ იმაზე ფიქრობდა კალაძე, რამდენად ჩაზნექილი იქნებოდა მისი სკამი და რა სიფართის დახრა ექნებოდა



## ლევან ალაფიშვილი: „ხაზარაძის გათვლაა, რომ შუამავალს არ ასახელებს, ვინც გახარიასგან წერილი გადასცა“



გვ.3



## თეონა აქუბარდია: „ინაშვილის პროვოკაცია რუსული პროპაგანდის დასტურია“

გვ.4

### სამართალი

გვ.5





„მან ქამრით სცემა საკუთარ ბიძაშვილს, ასევე სცემა საკუთარ დას“

ვინ არის დ.ს., რომელსაც ვახო სუთიძის დაჭრა ედება ბრალად



თამარ საძაგლიშვილს პარანოიდული შიზოფრენია დაუდგინდა






ადვოკატი თოდუა: „მიხეილ კალანდია „ოცნების“ და „ევროპული საქართველოს“ გარიგების გამო ზის ციხეში“

2 კალაძე: „კომპანია სვეტის 3 შეჩერებულ პროექტს $m^2$ გადაიბარებს“

5 ზვიად კორძაძე: „გახარიას წერილზე“ ათეულობით თითის ანაბეჭდია აღმოჩენილი“

2 ირმა ინაშვილი აშშ-ის საელჩოსთან 15 სექტემბერს აქციას გამართავს

6 ნეტანიაჰუ იორდანიის დასავლეთ სანაპიროს ანექსიას აპირებს

ISSN 1987-9385
9 771987 938006

# ირმა ინაშვილი აშშ-ის საელჩოსთან 15 სექტემბერს აქციას გამართავს

## „თქვენ ხართ სტრატეგიული პარტნიორები, მაგრამ ჩვენ არ ვართ თქვენი კოლონია“

აშშ სტრატეგიული პარტნიორია, თუმცა საქართველო მისი კოლონია არ არის.

ამის თქმას აპირებს პატრიოტთა ალიანსი აშშ-ის საელჩოსთან 15 სექტემბერს დაგეგმილ აქციაზე, რის შესახებაც ირმა ინაშვილმა გუშინ, 11 სექტემბერს, გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

პატრიოტთა ალიანსის ლიდერი და პარლამენტის ვიცე-სპიკერი ირმა ინაშვილი საგარეო საქმეთა სამინისტროს და ამერიკის საელჩოს ოფიციალური წერილით მიმართავს და მოითხოვს, ამერიკელ ექსპერტს, სახელმწიფო მდივნის ყოფილ თანაშემწეს, დევიდ კრამერს საქართველოში ჩამოსვლა აეკრძალოს.




ამ მოთხოვნის საფუძვლად პოლიტიკოსი სასტუმრო „რუმსში“ 10 სექტემბერს მომხდარ ინციდენტს ასახელებს, როდესაც ამერიკელმა დაპირისპირებისას მას დაუყვირა და, ინაშვილის თქმით, ხელითაც შეეხო.

პოლიტიკოსმა ამერიკელი ექსპერტისგან ბოდიშის მოხდაც მოითხოვა.

– ვაპირებდით შეკრებას რესპუბლიკის მოედანზე, მაგრამ შევიკრიბებით პირდაპირ ამერიკის საელჩოსთან. 15 სექტემბერს, 16:00 საათზე, ყველა ვიკრიბებით ამერიკის საელჩოსთან, ჩვენ უნდა ვუთხრათ ჩვენს ამერიკელ პარტნიორებს, რომ ისინი არიან ჩვენი პარტნიორები, მაგრამ არა დირექტორები.

ჩვენ ვართ დამოუკიდებელი სახელმწიფო, ჩვენ გვაქვს ჩვენი ღირსება. ვთანამშრომლობთ თქვენთან, ხართ სტრატეგიული პარტნიორები, მაგრამ არ ვართ თქვენი კოლონია. არც ერთ კრამერს არ ექნება უფლება, ხელით შეეხოს პარლამენტის წევრს. ჩვენ უნდა ვუთხრათ დასავლელ და ამერიკელ პარტნიორებს, მხარს ნუ უჭერენ მწამებელ ბოკერიას და სააკაშვილს, რომლებმაც ჩააბარეს კოდორი და ახალგორი, რაც აბრაზებს ქართველ ხალხს და აძლიერებს ანტიდასავლურ განწყობებს, – განაცხადა ირმა ინაშვილმა.

10 სექტემბერს, ირმა ინაშვილი სასტუმრო „რუმსში“, საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლის მოთხოვნით გამოჩნდა, თუმცა ის ამ ღონისძიებაზე მიწვეული არ ყოფილა, რასაც ხმაური მოჰყვა.

მოგვიანებით, პოლიტიკოსმა კონფერენციის მონაწილეებისადმი მიმართვა მაინც მოახერხა და ღონისძიების ამერიკელ სტუმრებს ჰკითხა, არის თუ არა ადამიანების წამება დასავლური ღირებულება.

ინაშვილი დისკუსიის მონაწილეებისთვის იმის თქმას შეეცადა, რომ რასაც ბოკერია და სააკაშვილი პატრიოტთა ალიანსზე ამბობენ, სიცრუეა და ისინი უცხოელ პარტნიორებზე მონოპოლიის შენარჩუნებას ცდილობენ. დევიდ კრამერმა კი განმარტა, რომ არ იცოდა, ვინ იყო ქალი, რომელიც ძალიან უხეშობდა და შლიდა კონფერენციას.

იმის უარსაყოფად, რომ კრამერი ინაშვილს არ იცნობდა, პატრიოტთა ალიანსის ლიდერმა პრესკონფერენციაზე წარმოადგინა კრამერთან ერთად 2010 წელს ვაშინგტონში გადაღებული ფოტო.

– ის, რომ კრამერი მე არ მიცნობდა, არის ძალიან დიდი ტყუილი. კრამერი ძალიან კარგად მიცნობდა. დასკვნა არის მარტივი, კრამერი არის მატყუარა და, გარდა იმისა, რომ მატყუარაა, არის თავხედი და უზრდელი ადამიანი. ძალიან ცუდია, როცა ბატონი კრამერი თავს უფლებას აძლევს, ხელით შეეხოს საქართველოს მოქალაქეს ჩემი სახით, – განაცხადა ირმა ინაშვილმა.

# მამუკა ხაზარაძე დღეს ანაკლიაში მოძრაობის პრეზენტაციას გამართავს



თიბისი ბანკის დამფუძნებლის მამუკა ხაზარაძის საზოგადოებრივი მოძრაობის პრეზენტაცია დღეს, 12 სექტემბერს, ანაკლიაში გაიმართება.

სწორედ ამ პრეზენტაციაზე გახდება ცნობილი ორგანიზაციის სახელწოდება და მიზნები. ამის შესახებ ინფორმაციას თავად მოძრაობა ავრცელებს.

მოძრაობის ცნობით, ახალი საზოგადოებრივი პლატფორმა აერთიანებს წარმატებულ ეკონომისტებს, იურისტებს, ბიზნესმენებს, მენეჯერებს, მეცნიერებს, შემოქმედებითი ინდუსტრიის და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს.

ამ დროისთვის ცნობილია ის, რომ მამუკა ხაზარაძის საზოგადოებრივი მოძრაობის სპიკერი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე და ექსპრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ყოფილი საპარლამენტო მდივანი, იურისტი ანა ნაცვლიშვილი იქნება.

# უკრაინაში საქართველოს ელჩი თეიმურაზ შარაშენიძე იქნება, ქუვეითში — კონსტანტინე ჟღენტი, ვატიკანში — ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონი

უკრაინაში, ქუვეითის სახელმწიფოსა და ვატიკანში საქართველოს ახალი ელჩები ჰყავს. უკრაინაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად თეიმურაზ შარაშენიძე, ქუვეითში – კონსტანტინე ჟღენტი, ხოლო ვატიკანში ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონი დაინიშნენ.

თეიმურაზ შარაშენიძე 1996 წლიდან სხვადასხვა პოზიციებზე საქართველოს დიპლომატიურ სამსახურში საქმიანობდა. 2004-2008 წლებში ბულგარეთში, ხოლო 2011-2018 წლებში აზერბაიჯანში საქართველოს ელჩი იყო. სხვადასხვა წლებში თურქეთის რესპუბლიკასა და ბულგარეთში საქართველოს გენერალური კონსულად მუშაობდა.

ქუვეითის სახელმწიფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კონსტანტინე ჟღენტი 2013-2018 წლებში უზბეკეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იყო. 2004-2005 წლებში მას ავსტრიისა და უნგრეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობა ეკავა.




2018 წლიდან დღემდე კონსტანტინე ჟღენტი არის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური და კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი.

ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონს ვატიკანში საქართველოს ელჩის თანამდებობა 2004-2014 წლებშიც ეკავა.

2009 წელს მას საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი მიენიჭა. ამავე წელს ანჰალტების საგვარეულოს „ალბრეხტის დათვის“ დიდი ჯვრით დააჯილდოვეს. ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონი, ასევე, დაჯილდოვებულია ანტონ I ბაგრატიონის სახელობის ოქროს მედლით, მალტის სუვერენული სამხედრო ორდენისა და წმინდა საყდრის პიუს IX ორდენის დიდი ჯვრებით.

1995 წელს ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონს საქართველოს საპატიო მოქალაქეობა მიენიჭა.

# საქართველოს 20 სკოლაში სწავლის დაწყება 2 კვირით გადაიწევს



საქართველოს მასშტაბით სასწავლო პროცესის დაწყების თარიღმა 20-მდე სკოლაში, შესაძლოა, ორი კვირით გადაიწიოს.

– 16 სექტემბერს საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი დაიწყება. ახალი სასწავლო წლისთვის, სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია მთელ საქართველოში, უპრეცედენტო მასშტაბით, 700-მდე სკოლაში განხორციელდა.

მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან გამომდინარე, საქართველოს მასშტაბით სასწავლო პროცესის დაწყების თარიღმა ერთეულ შემთხვევებში (20-მდე სკოლაში) შესაძლოა ორი კვირით მხოლოდ გადაიწიოს. ასეთ სკოლებში, გაკვეთილები შესაბამისი საგაკვეთილო ცხრილით შაბათი დღის ხარჯზე ანაზღაურდება.

აღნიშნულის შესახებ მშობლების ინფორმირებას სამინისტროს ინსტრუქციის საფუძველზე, სკოლების ადმინისტრაცია უზრუნველყოფს, – ნათქვამია განათლების სამინისტროს განცხადებაში.

# კალაძე: „კომპანია სვეტის 3 შეჩერებულ პროექტს m² გადაიბარებს“



კომპანია „სვეტის“ თბილისში მდებარე 3 შეჩერებულ პროექტს ემ კვადრატი გადაიბარებს. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და დეველოპერულ კომპანია „ემ კვადრატი უძრავი ქონებას“ შორის გუშინ, 11 სექტემბერს, გაფორმდა.

როგორც დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ ბრიფინგზე განაცხადა, აღნიშნული დოკუმენტის ფარგლებში, მხარეებმა გამოთქვეს მზადყოფნა, კომპეტენციის ფარგლებში, ხელი შეუწყონ სამშენებლო კომპანია „სვეტის“ მიერ დაზარალებული მოსახლეობის წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულებას, დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების გზით.

– მშენებლობების დასრულების მიზნით ემ კვადრატი კომპანია „სვეტის“ თბილისში მდებარე 3 შეჩერებულ პროექტს გადაიბარებს (მირცხულავას ქუჩის №9-11, ნუცუბიძის ქუჩის №125ა, ჭყონდიდელის ქუჩის №22).

სამივე პროექტი ამ ეტაპზე 30 საცხოვრებელ ბლოკს აერთიანებს, აღნიშნულ კომპლექსებში საცხოვრებელს 2.000-მდე მობინადრე ელოდება. ამჟამად უკვე დასრულებულია თბილისის მერიისა და ემ კვადრატის მიერ ინიცირებული მრავალმხრივი მოლაპარაკებები და გაფორმებულია ხელშეკრულებები „სვეტის“ კომპანიებთან და მიწების მესაკუთრეებთან. პროექტის საინვესტიციო ღირებულება 250 მილიონ ლარს შეადგენს და სრულად ფინანსდება ემ კვადრატის მიერ.

ობიექტების სამშენებლო-საინჟინრო მიმართულებას ემ კვადრატის 26-წლიანი გამოცდილების მქონე სამშენებლო კომპანია ბეკა კონსტრაქშენი განახორციელებს. ემ კვადრატი მზადაა, სამშენებლო სამუშაოებს „სვეტთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა წინაპირობის შესრულებისთანავე შეუდგეს. კერძოდ, მშენებლობა დაიწყება პროექტების შეთანხმებისა და სამშენებლო ნებართვების აღებისთანავე. მშენებლობა დასრულდება ნებართვების აღებიდან 3 წლის ვადაში, – აცხადებენ მერიაში.

– თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა ინტენსიური მოლაპარაკებები ყველა ჩართულ მხარესთან და, როგორც ხედავთ, შედეგიც დადგა. ამგვარი პრაქტიკა ქვეყნის ისტორიაში უპრეცედენტოა და გვიხარია, რომ ჩვენი დახმარებით, წლების განმავლობაში მომლოდინე ოჯახები კუთვნილ ბინას მიიღებენ, – განაცხადა ემ კვადრატის მმართველმა პარტნიორმა და ბეკა კონსტრაქშენის გენერალურმა დირექტორმა, შოთა ბერეკაშვილმა.

# ფრანგ მინისტრებს სიკვდილით დაემუქრნენ



საფრანგეთის ორმა მინისტრმა მუქარის წერილები მიიღეს, რომლებშიც რევოლვერის ტყვიები იყო მოთავსებული.

მუქარის წერილები მიიღეს საფრანგეთის ეკონომიკის მინისტრმა ბრიუნო ლე მერმა და სახელმწიფო ფინანსების მინისტრმა ჟერალდ დარმანენმა.

წერილები იმ მისამართზე გაიგზავნა, სადაც შესაბამისი სამინისტროები მდებარეობს.

წერილები ხელით არის დაწერილი და სიკვდილის შესახებ მუქარას შეიცავს.

ლე მერმა ერთხელ უკვე მიიღო მუქარის 2 წერილი აგვისტოში, ვიდრე საფრანგეთში „დიდი შვიდიანის“ ლიდერების შეხვედრა გაიმართებოდა. დარმანენს კი ერთხელ, 2018 წელს უკვე დაემუქრნენ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართული ოცნება“ მალე თავისიანების დაჭერას დაიწყებს“

## გურამ ჩალაგაშვილი: „ელექტროენერგია 2 თეთრით გაძვირდება, გაზი – 3-4 თეთრით“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერი გურამ ჩალაგაშვილი პასუხობს.**

***– ბატონო გურამ, ბოლო პერიოდია აქტიურად დაიწყო საუბარი ტარიფების მატებასთან დაკავშირებით ბუნებრივ აირსა და ელექტროენერგიაზე. თქვენ, როგორც სემეკის ყოფილი თავმჯდომარე, როგორ უყურებთ ამ საკითხს. გარდაუვალია ტარიფების მატება?***

– ელექტროენერგია შემოგვაქვს რუსეთიდან, გარკვეული წილი სომხეთიდანაც. შესყიდვები ხდება დოლარით. ასევე საკმაოდ მძიმე სიტუაცია გვაქვს ბუნებრივ აირთან დაკავშირებით, ვინაიდან ბუნებრივი აირი სრულად შემოდის აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან. როდესაც საბოლოო ტარიფის დაანგარიშება მოხდა, მაშინ 2.66 იყო ლარი დოლართან მიმართებაში, დღეს კი 2.96-ზეა. უკვე სერიოზული ცვლილებაა. ასეთ შემთხვევაში კომისიას არ აქვს უფლება, რომ ტარიფს არ გადახედოს. ტარიფის გადახედვა აუცილებლად მოხდება.

***– კომპანიებმა შეიტანეს განაცხადი?***

– კომპანიებს განაცხადები უკვე შეტანილი აქვთ. ამ შემთხვევაში ჩვენ კომისიას ვერ დავადანაშაულებთ, რადგან კომისია ვალდებულია, ეს დაითვალოს ისე, როგორც არის წესი და კანონი.

ეს ყველაფერი არის ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ბრალი. ვხედავთ, ლარი რა დღეშია, ლარი პრაქტიკულად კუპონად არის ქცეული, შესაბამისად, ეკონომიკა არ იზრდება, ინვესტიციები არ შემოდის, მოხმარება იმატებს როგორც ელექტროენერგიის, ისე ბუნებრივი აირის.

***– რამხელა მატებას უნდა ველოდოთ?***

– ბუნებრივი აირი მინიმუმ 3-4 თეთრით გაიზრდება, ელექტროენერგია – 2 თეთრით.

***– რას უნდა ველოდოთ?***

– ამ ხელისუფლებას საქართველოს მოსახლეობა საერთოდ არ აინტერესებს, არც აინტერესებდა არასოდეს. მისთვის მთავარი ამოცანაა, რომ საკუთარი ჯიბეები კარგად გაისქელოს. პირდაპირ და ღიად ასრულებენ მოსკოვის დავალებებს. რამდენიმე დღის წინ ბიძინა ივანიშვილმა უპატაკა პუტინს, რომ საქართველოში ფრიალებს რუსული წითელი დროშა.

***– ეს რაში გამოიხატება?***

– ეს ყველაფერი მან დაადასტურა პირდაპირ რუსეთიდან გამოგზავნილი გახარიას გაპრემიერებით და პირველ კაცად ქცევით. დასავლეთი უკვე ღიად საუბრობს იმაზე, რომ საქართველოზე დიდი დოზით იგრძნობა რუსული გავლენა. იმას, რაც ირმა ინაშვილმა გაბედა, საკუთარი ინიციატივით ვერ გაბედავდა. მან ეს დავალება „ოცნებისგან“ მიიღო. მან ამით უთხრა იქ შეკრებილ საზოგადოებას, რომ ჩვენ აღარ გვინდა დასავლეთი, ჩვენი პატრონი არის „დედა რუსეთი.“ ეს ყველაფერი ინაშვილს ათქმევინეს, ჯერ ასე ღიად თვითონ ვერ ამბობენ.

***– შეეცდება „ოცნება“, მესამე ვადით დარჩეს ხელისუფლებაში?***

– რა თქმა უნდა, მისი მიზანი სწორედ ესაა. 2019 წლის ბოლო და 2020 დაძაბული იქნება. გვექნება მძიმე შემოდგომა და კიდევ უფრო მძიმე და დაძაბული გაზაფხული. ხელისუფლება ყველანაირად შეეცდება ხელისუფლებაში დარჩენას, მაგრამ მე არ მგონია, რომ თუნდაც უკიდურესად გაჭირვებულმა ადამიანებმა იგივე შეცდომა გაიმეორონ და 20 ლარის, ან თუნდაც 40-ის სანაცვლოდ კვლავ „ოცნება“ შემოხაზონ.

საზოგადოებამ დღეს იმაზე უნდა იფიქროს, მშვიდობიანი გზით როგორ გაუშვას ეს ხელისუფლება პოლიტიკურ სანაგვეზე. თუ ეს არ მოხდა, ქვეყანა უმძიმეს სიტუაციაში ჩავარდება.

***– ახალ ძალებს პოლიტიკურ ასპარეზზე შემოსვლის საშუალებას არ აძლევენ. პრობლემები შეუქმნეს მამუკა ხაზარაძეს და სხვებსაც. ამ სიტუაციაში რისი იმედი უნდა ჰქონდეს საზოგადოებას, ოპოზიციას?***

– რა თქმა უნდა, პრობლემები შეუქმნეს მამუა ხაზარაძეს, თუმცა ყველაზე დიდი პრობლემა ვისაც შეუქმნეს, ეს არის ჩვენი პოლიტიკური გაერთიანება – „გამარჯვებული საქართველო“. მის ლიდერს მოჰკიდეს ხელი, ჩასვეს ციხეში და ამითი მოიშორეს ოქრუაშვილი, როგორც პოლიტიკური ლიდერი.

„ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მხოლოდ ნაცმოძრაობა ახსენოს. ისინი ამბობენ, რომ ყველა ერთია და ყველას ნაციონალებს ეძახიან. მათ არ სურთ ახალი პოლიტიკური ლიდერები, ახალი სახეები, ვისაც შეუძლია ქვეყნისთვის კარგი გააკეთოს. მე არ გამოვრიცხავ, რომ კიდევ გააგრძელებენ დაჭერებს.



***– ელოდებით რეპრესიების ახალ ტალღას?***

– რა თქმა უნდა, ველოდები. ხელისუფლება მალე დაიწყებს ჯერ თავისიანების დაჭერას, განსაკუთრებით მათ მიადგებიან, ვინც ძალიან ბევრი ჭამა ბიუჯეტიდან, რათა ხალხს დაანახონ, რომ თავისიანებსაც არ ინდობენ, მარტო ოპოზიციას კი არ დასდევენ.

ამასობაში მათთან ერთად მიაყოლებენ დარჩენილ ოპოზიციურ ლიდერებსაც. არავის დაინდობენ, ვისაც კი ოდნავ ფეხი გადაუბრუნდება. შეეცდებიან, რომ პოლიტიკური ველი მთლიანად მოასუფთავონ, რომ რაც შეიძლება კომფორტულად ჩაატარონ არჩევნები. თუმცა ეს ნამდვილად არ გამოუვათ! შეუძლებელია, ყველა ადამიანი, ვინც ამ მთავრობის წინააღმდეგია და განსხვავებულად ფიქრობს, ციხეში გამოკეტო.

***– საკუთარი გუნდიდან ვის უპირებენ დაჭერას?***

– აქ პოლიტიკურ ლიდერებზე არ არის საუბარი, აქ საუბარია შედარებით დაბალი რანგის პირებზე. უფრო მეორეხარისხოვანი თანამდებობის პირებზე. ეს დაჭერები აუცილებლად იქნება. როგორც ვიცი, კალაძესა და ივანიშვილს შორისაც აიმღვრა წყალი.

***– რატომ, ვერ აკონტროლებს ივანიშვილი კალაძეს?***

– როგორც ჩანს, ვერა. კალაძე „ოცნების“ მთავრობაში რეიტინგით ყველაზე მაღლა დგას, აქვს ფინანსური საშუალებები საკმაოდ ბევრი და შიშობს ივანიშვილი, რომ კალაძემ მას რაიმე პრობლემა არ შეუქმნას. ივანიშვილი შეეცდება, რომ კალაძეს კომპრომატები დაუდოს და მადა დაუოკოს.

***– გახარიას რამდენად გააკონტროლებს? ისიც სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.***

– გახარიას გაკონტროლება საკმაოდ გაუჭირდება. პლუს ამას, გახარიას მოუწევს ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელთა დიდი სურვილი თავადაც არ ექნება. რაღაცნაირად შეეცდება, რომ მის დედაპარტიას, „ქართულ ოცნებას“, რაღაცნაირად ნამუსი ჩამოწმინდოს და რეიტინგი აუმაღლოს. თუმცა, რაც არ უნდა გააკეთოს გახარიამ, ეს შეუძლებლად მიმაჩნია. როგორც მიცვალებულს ბალზამი ვერ გააცოცხლებს, ისე „ოცნებას“ არაფერი ეშველება.

***– დასრულდება 2020-ში „ოცნების“ მმართველობა?***

– „ოცნება“ თავისით არსად წავა, ის ჩვენ უნდა გავუშვათ!

# ლევან ხაბეიშვილი: „კალაძემ საკუთარი კომფორტისთვის თბილისის ბიუჯეტი გადაჭამა“

## აგვისტოს თვეში მხოლოდ იმაზე ფიქრობდა კალაძე, რამდენად ჩაზნექილი იქნებოდა მისი სკამი და რა სიფართის დახრა ექნებოდა

ნონა ცაბაძე

**გუშინ თბილისის საკრებულოში ნაციონალების წევრ ლევან ხაბეიშვილსა და კახა კალაძეს შორის დაპირისპირება მოხდა.**

**„ახალი თაობის“ კითხვებს ლევან ხაბეიშვილი პასუხობს.**

***– ბატონო ლევან, თბილისის საკრებულოში სერიოზული დაპირისპირება მოხდა თქვენსა და თბილისის მერ კახა კალაძეს შორის. თქვენ მას კორუმპირებული მერი უწოდეთ, რა გახდა დაპირისპირების მიზეზი?***

– გუშინდელი დედაქალაქის მთავრობის სხდომა ჩაატარეს დედაქალაქის საკრებულოში. წესით მთავრობის სხდომა ტარდება ხოლმე მერიაში, საკრებულოში მთავრობის სხდომები არ ტარდება.

***– რატომ ჩაატარეს?***

– ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. ეს მიზეზი არის ის, რომ დედაქალაქის მერიამ და პირადად კალაძემ გადაწყვიტა რემონტის გაკეთება იმ 100 კვ.მ ოთახში, სადაც ტარდება ხოლმე მთავრობის სხდომები. მიუხედავად იმისა, რომ ეს სხდომის დარბაზი გამართულია როგორც ტექნიკურად, ასევე სხვა მხრივაც, არანაირი პრობლემა ამ კუთხით არ ჰქონიათ. თუმცა, ამის მიუხედავად, გადაწყვიტეს, 153 ათასი ლარი დახარჯონ ამ მიმართულებით. შეიძინონ ავეჯი. საუბარია, რომ




38 ათას ლარიანი მაგიდა უნდა იყიდონ, 700 და 800 ლარი ერთ ცალ სკამში უნდა გადაიხადონ და ასე შემდეგ.

***– მერიაში რემონტია და ამიტომ მოვიდა თბილისის მერი საკრებულოში?***

– მთავრობის სხდომა იმიტომ ტარდებოდა საკრებულოში, რომ კალაძემ გადაწყვიტა, რომ საკუთარი კომფორტი მოიწყოს, გორგოლაჭებიანი სკამები იყიდოს. პირდაპირ უწერიათ დოკუმენტაციაში, ეს სკამები როგორი უნდა იყოს, რამდენად გადაზნექილი უნდა იყოს, ტყავის რომ უნდა იყოს, ტყავის სახელური რომ უნდა ჰქონდეს. აი ზუსტად ასეთი აღწერილობითაა დამუშავებული, თუ როგორი რბილი ავეჯი უნდათ. შესაბამისად, მთავრობის სხდომაზე მინდოდა კალაძისთვის, ქუჩებთან დაკავშირებით, რომლის რეაბილიტაციაც გაიწელა თვეები, მაგალითად, კანდელაკის ქუჩა საბურთალოზე, ყველა ვადა რომ დარღვეული აქვს კომპანიას. მინდოდა სხდომაზე შესვლა, რომ მეკითხა ამ საკითხებზე დეტალურად. ასევე მინდოდა გლდანში ხიზანიშვილის ქუჩასთან დაკავშირებით, რომელ ქუჩაზეც სამი კაცი მუშაობს მხოლოდ და დაანონსებულია ამხელა სარეაბილიტაციო სამუშაოები, ეს არ მორჩება 2041 წლამდე, თუ ასეთი ტემპით გააგრძელა. აი მსგავს სამუშაოებთან დაკავშირებით მინდოდა კითხვები დამესვა. მერი, რომელმაც პრაქტიკულად აჩიჩქნა მთელი ქალაქი, ყველა ქუჩა პარალიზებულია. აი ეს კითხვები მქონდა.

***– თუმცა არ შეგიშვეს.***

– დიახ, არ შემიშვეს. ასევე კითხვები მქონდა ბაღის კვებასთან და კიდევ ძალიან ბევრ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ არ შემიშვეს. მხოლოდ მე ვიყავი ფრაქციიდან წარმოდგენილი, მაგრამ მაინც არ შემიშვეს. კითხვების ეშინიათ. კითხვებზე რომ პასუხი ჰქონდეთ, მაშინ რა პრობლემაა, შეგიყვანენ მთავრობის სხდომაზე, დახურულია ეს სხდომები, არც კამერაა და არაფერი. ძალიან მარტივია, ვკითხავდი და მიპასუხებდნენ. მიუხედავად ამისა, ეს არ გააკეთეს. შესაბამისად, როცა კალაძე სხდომიდან გამოვიდა, შევეცადე, გარეთ დამესვა ეს შეკითხვები. როცა მივყევი და მისთვის შეკითხვები უნდა დამესვა, ის მოყვა რაღაცებს, რომ თურმე მე ბოდიში უნდა მოვუხადო ვიღაცა მთავრობის წევრებს. ბოდიში მოსახდელი თუ ვინმეს აქვს, ეს კალაძეა. გადაჭამა თბილისის ბიუჯეტი. თუნდაც მისი ეს ბოლო გადაწყვეტილება, რა ფასიან ავეჯს ყიდულობს. როგორც თვითონ ამბობს, „მებელს“ ყიდულობს. სენტიმენტები აქვს, როგორც ჩანს, და აი ამ „მებელის“ ყიდვაში ბიუჯეტის ფულს ხარჯავს.

***– კალაძემ თქვენ გაფარჩაკებული პოლიტიკოსი გიწოდათ.***

– აი ეს არის მისი სახე და გამოვლინება, სხვა რომ არაფერი ჰქონდა სათქმელი. როცა ადამიანს არა აქვს შესაბამისი აღზრდა, განათლება და ზრდილობა, მერე გადადის ასეთ განცხადებებზე. რას ნიშნავს გაფარჩაკებული?! კითხვებს რომ ვუსვამ და რაღაცა კითხვები გვაქვს, ის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ლევან ალაფიშვილი: „ხაზარაძის გათვლაა, რომ შუამავალს არ ასახელებს, ვინც გახარიასგან წერილი გადასცა“

იაგო ნაცვლიშვილი

„თიბისი ბანკის“ დამფუძნებლების მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის ადვოკატმა ზვიად კორძაძემ „არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციასთან“ შეხვედრისას განაცხადა, რომ ინგლისში ჩატარდა ექსპერტიზა, საიდანაც მათ მიიღეს დისკი, რომელზეც ასახულია ექსპერტიზის შედეგები. აღმოჩნდა, რომ იმ წერილზე, რომელზეც მამუკა ხაზარაძე აცხადებს, რომ მას გიორგი გახარიამ მისწერა, ათეულობით თითის ანაბეჭდია ასახული.

ექსპერტიზის შედეგებიდან გამომდინარე ჩანს თუ არა პოლიტიკური შეფერილობა, რას უნდა ველოდოთ გამოძიების თვალსაზრისით და ხომ არ მოვიდა დრო, ხაზარაძემ თავად დაასახელოს შუამავალი, ვინც მას წერილი გადასცა? – ამ საკითხებზე „ახალი თაობის“ კითხვებს იურისტი ლევან ალაფიშვილი პასუხობს.

***– ცნობილი გახდა, რომ ათეულობით პირის ანაბეჭდია დაფიქსირებული ლონდონიდან ჩამოსული ექსპერტიზის მიხედვით ხაზარაძისთვის გახარიას სახელით გაგზავნილ წერილში. თუმცა, არც ერთი ფიგურანტი პირი არ გამოუკითხავს პროკურატურას. თქვენთვის რას ნიშნავს და რას ცდილობს ხელისუფლება?***

– ხელისუფლება ორ ნაწილად უნდა წარმოვიდგინოთ. პირველი, პოლიტიკური და მეორე, სამართლებრივი – პროკურატურა და სასამართლო. ყველაფერი ეს არის სისტემა, რომელიც, სამწუხაროდ, პოლიტიკურ სამსახურშია ჩამდგარი. რაიმე ობიექტური გადაწყვეტილების იმედი ძნელად წარმოსადგენია და ძალიან დაბალია.

არსებობს ორი მტკიცებულება, ერთი დასკვნა და მეორე – თვითონ წერილი. აქედან გამომდინარე არსებობს კითხვის ნიშნები. ასეთ საქმეზე კითხვებს უნდა გაეცეს პასუხი. შესაბამისად, გონივრულად მოქმედი ხელისუფლების თუ მართლმსაჯულების სისტემის ქმედება ასეთი უნდა იყოს.

სამწუხაროდ, მოლოდინი ასეთი არ მაქვს. ეს ნიშნავს თავისთავად იმას, რომ ხელისუფლება მამუკა ხაზარაძესთან და ბადრი ჯაფარიძესთან არ არის მართალი.

***– პოლიტიკური შეფერილობა ჩანს?***

– დიახ, რა თქმა უნდა. ზუსტად ეს ვთქვი, რომ პოლიტიკურადაც და სამართლებრივადაც. ხელისუფლების შტოები – მთავრობა, პარლამენტი, მართლმსაჯულების სისტემა, პროკურატურა, ყველა ერთად წარმოდგენილი არ არის მართალი.

გამოძიების უფლება ექსკლუზიურად მხოლოდ პროკურატურას აქვს და თუ გამოძიება არ იწყება და ის ამას არ აკეთებს და ამაზე განმარტებებსაც არ იძლევა, ბუნებრივია, ეს კითხვის ნიშნები სწორედ ხელისუფლების საწინააღმდეგოდ გადაითარგმნება.

***– ასევე დარჩება ეს საქმე თუ წარმოაჩენენ ისე, თითქოს რაღაცას იძიებენ, რომ რაღაცნაირად საზოგადოებისთვის წარმოაჩინონ ისე, თითქოს პოლიტიკური შეფერილობა არ სდევს ამ საქმეს?***

გაგრძელება მე-4 გვერდზე



**შევიძენ**
**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**
**ტელ.: 598-43-98-57**

# თეონა აქუბარდია: „ინაშვილის პროვოკაცია რუსული პროპაგანდის დასტურია“

## „საუბარი, რომ საქართველომ ნატოს წევრობის სანაცვლოდ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე უარი უნდა თქვას, ტყუილია“

იაგო ნაცვლიშვილი



ნატოს ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა ანდერს ფოგ რასმუსენმა გააჟღერა იდეა, რომ დაიწყოს დისკუსია საქართველოს ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებით, რა შემთხვევაშიც ამოქმედდება მეხუთე მუხლი, რაც გულისხმობს იმას, რომ საქართველო ნატოს წევრი ოკუპირებული ტერიტორიების გარეშე გახდება და ქვეყნის უსაფრთხოებაზე იზრუნებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, თუმცა ეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ვერ გავრცელდება. რასმუსენის ეს განცხადება ზოგიერთი პოლიტიკოსებისგან ახსნილი იყო იმგვარად, თითქოს ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველომ ნატოში შესვლის სანაცვლოდ უარი უნდა თქვას ოკუპირებულ ცხინვალსა და აფხაზეთზე. სინამდვილეში კი ნატოს მხრიდან ამაზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა. ირმა ინაშვილმა კონფერენციაზე გარკვეული პროვოკაციებიც მოაწყო, შეიჭრა და დასავლელი დიპლომატები გამოიწვია.

ნატოს თემაზე მიმდინარე დისკუსიაზე, რუსულ ნარატივსა, პროპაგანდაზე, იმაზე თუ რას ნიშნავს მეხუთე მუხლი და რა პრაქტიკა არსებობს გამონაკლისების მხრივ, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სამხედრო ექსპერტი თეონა აქუბარდია საუბრობს.

***– დიდი ვნებათაღელვაა ნატოში გაწევრიანების საკითხზე. განვუმარტოთ მკითხველს, რას ნიშნავს მეხუთე მუხლი, რას გამოიწვევს და რა გამონაკლისები არსებობს ამ მხრივ?***

– ის, რაც ბატონმა რასმუსენმა გააჟღერა იმ საკითხზე, თუ როგორი გზა სჯობს იმ პრობლემის დასაძლევად, რასაც ჰქვია რუსული ოკუპაცია და აქედან გამომდინარე რისკები. ეს არ არის ახალი, 2 წლის წინ ჰერიტიჯის ფონდის მკვლევარმა ლუკ კოფიმ გამოაქვეყნა თავისი ხედვა, რომელმაც ეს იდეა შესთავაზა საერთაშორისო საზოგადოებას, როგორც გამოსავალი საქართველოს ნატოში წევრობის. ეს ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე და კარგი იქნებოდა, რომ არა მხოლოდ ექსპერტები, არამედ პოლიტიკოსებიც გასცნობოდნენ და შემდეგ გაეკეთებინათ შეფასებები.

მისი შეთავაზება იყო შემდეგი: იქიდან გამომდინარე, რომ ნატოს თავის რიგებში არ მიუღია არც ერთი ქვეყანა, სადაც ოკუპაციაა და გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთმა განახორციელა საომარი მოქმედებები საქართველოში 2008 წელს და ამ ომის დაწყების ერთ-ერთი მიზეზი იყო ისიც, რომ შეეჩერებინა საქართველოს ნატოსკენ სვლა. რუსეთისთვის ბერკეტი ამ შემთხვევაში არის ის, რომ საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია.

ნატოს არ აქვს მარტო მეხუთე მუხლი. ნატოს მეხუთე მუხლი გულისხმობს კოლექტიური თავდაცვის მექანიზმს. ანუ, მეხუთე მუხლი არის ალიანსის უსაფრთხოების ქოლგა. თუ ხდება თავდასხმა ერთზე, ეს ავტომატურად ყველაზე თავდასხმას ნიშნავს და ყველა ერთიანდება ამ ერთი ქვეყნის დასაცავად, ეს არის მეხუთე მუხლის იდეა.

როდესაც იყო შეთავაზება, რომ ნატოს წევრობაზე ხდება განაცხადი და საქართველო იწყებს მოლაპარაკებას ამ იდეაზე, ამ დროს საქართველო აღიარებულია ქვეყნად, რომლის ტერიტორიებიც ოკუპირებულია და ამაზე საუბრობენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები.

თუ გახდება საქართველო ნატოს წევრი და ამ დროს თუ მოხდება სამხედრო თავდასხმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ნატოს წევრი ქვეყნები ვერ დაიცავენ მას, მაგრამ თუ მოხდება თავდასხმა საქართველოს სხვა რეგიონებზე, ამ შემთხვევაში ნატოს თავდაცვის ქოლგა გავრცელდება საქართველოზე.

***– რუსული ნარატივის შემცველი განცხადებები ვიხილეთ, განსაკუთრებით ირმა ინაშვილის მხრიდან და ხომ არ ელოდებით ამ მხრივ რუსული ნარატივის გაძლიერებას?***

– მოვისმინეთ, რომ თითქოს საქართველომ ნატოში გაწევრიანების სანაცვლოდ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე უარი უნდა თქვას, რაც ტყუილია, ასეთი რამე შეთავაზებაში არ ყოფილა. სამწუხაროდ, უმრავლესობის წევრებმა, მაგალითად, ვოლსკის მხრიდან იყო ამის ნათელი დადასტურება და ილუსტრაცია. მათ თქვეს, რომ საქართველო არ გახდება ნატოს წევრი ამ რეგიონების სანაცვლოდ.

***– არ იციან, რომ ეს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონზე უარის თქმას არ ნიშნავს თუ შეგნებულად ამახინჯებენ?***

– არა მგონია, რომ მათ ეს არ იცოდნენ. გუშინ ვუსმინე ბატონ ვოლსკის ინგა გრიგოლიას ეთერში, სადაც მან თავისი ნათქვამი გადააკეთა და ძალიან კარგი რომ გადააკეთა. იმიტომ, რომ როდესაც პატრიოტთა ალიანსის აზრზე დგები „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი, ეს ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს და ეს არის ეროვნული ინტერესის დამაზიანებელი.

აქ საუბარია იმაზე, რომ უნდა შევთანხმდეთ როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიციური პარტიები, რათა კონსენსუსი იყოს მიღწეული და უნდა მოხდეს რისკების გათვლა. ამას თავისი რისკები, რა თქმა უნდა, ახლავს და ეს ყველაფერი უნდა გაანალიზდეს. უნდა ჩაერთონ ამაში შესაბამისი სამთავრობო უწყებები და უნდა დაიწყოს დისკუსია და გახსნილობა.

როდესაც რუსეთი ოკუპაციას არ აჩერებს და რაც ხდება ახლა ცხინვალის რეგიონში, ეს ამის დასტურია... როცა ამ ვითარებაში ვართ, შემოთავაზებული ვარიანტი არის იმის გარანტია, რომ დანარჩენ საქართველოს ვერ მოაქცევს ოკუპაციის ქვეშ. ამ ვითარებაში საფრთხე არსებობს მთლიანად საქართველოში და არა მხოლოდ ოკუპირებულ რეგიონში. ნებისმიერი გზა, რაც საქართველოს მიიყვანს თავის ეროვნულ ინტერესთან, რაც ნატოში გაწევრიანებას გულისხმობს და უსაფრთხოების ქოლგა, რაც ამას მოყვება და რომელიც მთლიანად ქვეყანაზე გავრცელდება, ეს დააჩქარებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას, თითოეული მოქალაქის კეთილდღეობასა და ა. შ.

დღეს რუსეთი ცდილობს ანტიდასავლური პროპაგანდის გაჩაღებას, ჩვენი მოქალაქეების გატაცებას და წამებას ახდენს, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმებით არის ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა, ეს ქმნის არასტაბილურობის განცდას და ეს საინვესტიციო გარემოზეც ადეკვატურად აღიქმება. ამიტომ ის რიტორიკა, რომ ეს ნიშნავს ჩვენს ოკუპირებულ რეგიონებზე უარის თქმას, ეს უბრალოდ ტყუილია და ეს არის პროპაგანდა.

***– ნატოს აქვს თავის პრაქტიკაში გერმანიის მაგალითიც. ამაზე რას ეტყვით?***

– გერმანიის მაგალითი იყო ერთ-ერთი უნიკალური მაგალითი და ეს შეთავაზებაც ამ მოდელზეა აწყობილი, როდესაც ნატოში შევიდა გერმანია, ნატოს მეხუთე მუხლი ბერლინზე არ გავრცელდა, ვინაიდან ბერლინი საბჭოთა ბლოკში იყო, ხოლო დასავლეთ გერმანია დასავლურ ბლოკში. როდესაც მოხდა გერმანიის გაერთიანება, მაშინ ავტომატურად ეს გავრცელდა ბერლინზეც. ეს დათქმა არსებობდა. თუ ასეთი მაგალითი არსებობდა, რატომ არ შეიძლება საქართველომაც იფიქროს?! საუბარია იმაზე, რომ ეს ბერკეტი რუსეთისთვის იყოს გამოცლილი იმისათვის, რათა საქართველომ მიაღწიოს თავის ეროვნულ ინტერესებს. ამაზე მსჯელობის დაწყება მინიმუმ აუცილებელია, რომ ჩვენ ავირჩიოთ, რომელი გზა უფრო მისაღები იქნება, რა თქმა უნდა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემის დაცვის მიზნით. არც ერთი დასავლური ქვეყანა ვერც გეტყვის და არც გეუბნება, რომ შენ ნატოს წევრი გახდი ტერიტორიული მთლიანობის დათმობის სანაცვლოდ.

ამ პროცესში, რომ ეს ინფორმაცია მიწოდებული იყოს საზოგადოებისთვის სწორად, ამაში მედიას ეკისრება ძალიან დიდი როლი და მეორე მხრივ, ხელისუფლების ვალდებულებაა, რომ სწორი სტრატეგიული კომუნიკაცია აწარმოოს საკუთარ მოსახლეობასთან და პრორუსულ ნარატივზე არ იყოს. რასმუსენი ალიანსის ყოფილი გენდირექტორია და ეს არ ყოფილა ჰაერზე გაკეთებული განცხადება.

***– არ ელოდებით, რომ რუსული პროპაგანდისტული მოქმედება კიდევ უფრო ჩაირთვება იმ გზავნილის გაჟღერების შემდეგ, რაც ნატოს ყოფილი გენმდივნის მხრიდან მოვისმინეთ?***

– რუსული პროპაგანდა საქართველოში ისედაც აქტიურია და ისედაც მძვინვარებს. ირმა ინაშვილის პროვოკაცია, რაც ჩვენ ვნახეთ კონფერენციაზე, ამის ნათელი დასტურია. ის ეწინააღმდეგება ნატოში გაწევრიანებას და ის მოუწოდებს თავის ამომრჩეველს, რომ არ გვინდა ნატო და ა. შ. ამას პოლიტიკური პარტია აჟღერებს პარლამენტის ტრიბუნიდან, რაც აქამდე არ ყოფილა, ეს უკვე ნიშნავს, რომ რუსეთი ცდილობს მეტი დასაყრდენი იპოვოს პოლიტიკურ პარტიებში. ამიტომ, გაძლიერება იქნება ამ შეთავაზებასთან მიმართებით, დასავლეთთან დაახლოების თუ ყველა სხვა ქმედებებთან დაკავშირებით. ყველა კონტექსტში გააქტიურებულია რუსეთი და კიდევ უფრო გააქტიურდება.

2020-ის არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანია და რუსეთი ეცდება მხარი დაუჭიროს ისეთ პარტიებს, რომლებიც გამორჩეული არიან ამ ნარატივით და აქ მხოლოდ პატრიოტთა ალიანსზე არ არის საუბარი. ამიტომ, ეს იქნება მნიშვნელოვანი ბრძოლა პროდასავლურ და პრორუსულ ძალებს შორის. ამიტომ ლოგიკურია, რომ პროპაგანდა გაძლიერებული იქნება, მაგრამ მთავრობას აქვს ვალდებულება, აწარმოოს სწორი კომუნიკაცია საკუთარ მოსახლეობასთან საკუთარი ეროვნული ინტერესების დასაცავად. ასევე, როგორც გითხარით, მედიას აქვს დიდი მნიშვნელობა ამ პროცესში და ასევე სამოქალაქო საზოგადოებასაც, რათა აუხსნას მოსახლეობას, რაზეა საუბარი და მოხდეს მოსახლეობისთვის მეტი განმარტება ამ მიმართულებით. ხელისუფლების მხრიდან – საპარლამენტო უმრავლესობას ვგულისხმობ, არასწორი მესიჯები გაჟღერდა და შესაძლოა ეს იყოს ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი, რა პროცესზეც ახლა ჩვენ ვსაუბრობთ.

# ლევან ალაფიშვილი: „ხაზარაძის გათვლაა, რომ შუამავალს არ ასახელებს, ვინც გახარიასგან წერილი გადასცა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ მინიმალურია ეს მოლოდინი და ამის საფუძველი იცით, რა არის? ამ წერილთან მიმართებით, როგორც კი ეს გაჟღერდა, მაშინვე დაკითხვაზეც დაიბარეს ხაზარაძე. მაშინ პროკურატურამ თქვა, რომ ამავე საქმის ფარგლებში დავიწყეთ გამოძიებაო და მიიღო გადაწყვეტილება საქმის არაღძვრის თაობაზე. ეს მაძლევს საფუძველს, რომ წინასწარ თავი დაიზღვიეს.

***– ხომ არ დადგა დრო, რომ ხაზარაძემ თავად დაასახელოს შუამავალი პირი?***

– მე ვერ გეტყვით, რა იყო და რა არ იყო, თუმცა მედიაში გავრცელდა



ინფორმაცია, თქვენი კოლეგების მხრიდან წყაროზე დაყრდნობით, წერილის შესაძლო მიმტანის თუ წამომღების შესახებ. მაგრამ, ამ ეტაპზე ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი აღარ არის. ამ ეტაპზე ჩემთვის მნიშვნელოვანი ის არის, რომ შემოწმდეს, რა არის დადგენილი ამ დოკუმენტზე.

ასეულობით ანაბეჭდს შორის ერთი იმ შუამავლისა იქნება. თუ იმ პირების იდენტიფიკაცია მოხდა, ვისი ანაბეჭდებიც დაფიქსირებულია, ვალდებულები იქნებიან, რომ ან პროკურატურაში, ან სასამართლოში გამოცხადდნენ და მისცენ ჩვენება. ეს ვალდებულება ექნებათ. ამ ვალდებულების არშესრულებისთვის კი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაა.

***– ხაზარაძემ ხომ მაინც უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას, რა იყო რეალურად?***

– ეს გასაგებია და კი ბატონო, შესაძლოა, ეს მოლოდინი იყოს, მაგრამ მე ვერ გეტყვით, რომ ხაზარაძის ტაქტიკა არ არის სწორი. რეალურად, საბოლოო ჯამში, ამ შეტევის ფონზე პიარის კუთხით ხაზარაძეს უწევს თავის მართლება. მხარეა იგი და, ბუნებრივია, ეს კომფორტს უქმნის მის მოწინააღმდეგეს – ხელისუფლებას. იმიტომ, რომ ის ამბობს, ხაზარაძე ამას იმიტომ ამბობს, რომ მის წინააღმდეგ საქმეა წარმოებული და შეუძლია ტყუილიც თქვასო.

გახსოვთ, როდესაც წერილი გაასაჯაროვა, მაშინ ზუსტად ასეთი მიდგომა იყო ხელისუფლების მხრიდან. შესაბამისად, ბუნებრივია, ამ ე. წ. ომში, რომელიც ხელისუფლებამ გამოუცხადა ხაზარაძეს და ამ ჯგუფს, შესაძლოა იყოს გათვლა, რომ მე არ ვიმართლებ თავს, დავდებ ფაქტებს და ხელისუფლებამ თვითონ იმართლოს თავი.

ეს სწორი ტაქტიკური სვლა იქნება. ყოველთვის სჯობს, ასეთ დროს ფაქტები იყოს წარმოდგენილი საზოგადოებისთვის, გადამოწმებადი ფაქტები და მხარეებს მათი პოზიციებიდან გამომდინარე ჰქონდეთ შესაძლებლობა გაარკვიონ, რა არის ეს ფაქტი და საიდან მოდის ეს ფაქტი.

# ლევან ხაბეიშვილი: „კალაძემ საკუთარი კომფორტისთვის თბილისის ბიუჯეტი გადაჭამა“

## საბავშვო ბაღებში ბავშვები განწირული ჰყავთ, რომ აჭამონ საშინელება და მოწამლონ

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მე კი არ მეუბნება, რომ გაფარჩაკებული ხარო, ყველა იმ ადამიანს, ვისაც რაიმე კითხვა აქვს მასთან, ჩათვალეთ, რომ აი ამ ლექსიკით ელაპარაკება. ეს კაცი ყველას ეძახის გაფარჩაკებულს.

***– ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაშია, ეკონომიკური კრიზისი, მოსახლეობა სიღარიბით იხრჩობა და მთავრობა მხოლოდ საკუთარ კომფორტზე ზრუნავს?***

– დიახ, ასეა. 1.76 თეთრად უნდა აჭამონ სოციალურად დაუცველებს. ბაღში 3.60 თეთრად უნდა კვებონ ერთი ბავშვი სამჯერადად, იმ ფონზე, როდესაც ყველაფერი გაძვირებულია, ხორცი, კარაქი, აბსოლუტურად ყველაფერი და რასაც 2012 წელს იხდიდნენ კვებაში, დღესაც იგივე თანხა უნდა გადაიხადონ. 3.60 თეთრად ბავშვებს იმ სტანდარტის საჭმელს, რაც მათ ეკუთვნით, ვერ მიუტანენ.

***– ანუ ბაღებში შევა საკმაოდ დაბალხარისხიანი საკვები?***

– საბავშვო ბაღებში ბავშვები განწირული ყავთ იმისთვის, რომ აჭამონ საშინელება და მოწამლონ. წინა წელსაც იყო ამასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები, არა, არ არისო, ხაბეიშვილი იტყუებაო და, საბოლოო ჯამში, გაუუქმეს კომპანიას ხელშეკრულება. საბოლოო ჯამში აღმოჩნდება ხოლმე, რომ მე მართალი ვარ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ პრობლემა გვარდება. დღეს კალაძეს და „ქართულ ოცნებას“ სულ ცალ ფეხზე კიდია ყველაფერი. მხოლოდ საკუთარი სკამი აინტერესებთ, რამდენად ჩაზნექილი და წამოსაწოლი იქნება. აი ესაა მათი ინტერესის სფერო. აგვისტოს თვეში მხოლოდ ამაზე ფიქრობდა კალაძე, რამდენად ჩაზნექილი იქნებოდა მისი სკამი და რა სიფართის დახრა ექნებოდა. აი ეს არის მათი რეალური სახე. ამ ქვეყანაში ბოროტების წყარო არის ივანიშვილი და შემდეგ მისი ხელისუფლება. ივანიშვილიც და კალაძეც ორივე ერთნაირი ნაძირალაა.

***– ლევან, საკმაოდ მძიმეა პოლიტიკური ფონი ქვეყანაში. ბოლო საკადრო ცვლილებებმა მოსახლეობაში სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია. ამ ყველაფერზე რას ფიქრობთ?***

– პოლიტიკური ფონი არის ძალიან მძიმე, ფაქტია, რომ უზურპაცია ხდება ხელისუფლების. ადამიანი, რომელიც სისხლის სამართლის დამნაშავეა კერზაიასთან დაკავშირებით, ამ საქმეში ძალიან ბევრი კითხვაა და ეს დღის წესრიგში, დღეს თუ არა ხვალ, აუცილებლად დადგება. განათლებისა და შს მინისტრები პირდაპირ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემიან ია კერზაიას საქმესთან დაკავშირებით და ძალიან მალე მოვა ამის დრო. რა ხდება იგივე მამუკა ხაზარაძესთან, როცა ბიზნესმენი პირდაპირ ადებს ხელს, რომ მასზე კონკრეტული სახის ზეწოლა განახორციელეს. ასევე 20 ივნისს რაც მოხდა, ვნახეთ, ადამიანებს გაუფრთხილებლად დამიზნებით ესროლეს და თვალები დასთხარეს. იმდენი საქმეა გახარიას წინააღმდეგ, რომ მას უკან დასახევი გზა არა აქვს. ის, დღეს თუ არა ხვალ, აუცილებლად აღმოჩნდება საბრალდებო სკამზე! მე ამ პროცესებს სერიოზულად ვერც აღვიქვამ, ვგულისხმობ საკადრო ცვლილებებს და ასე შემდეგ.

***– ველარ გაიხანგრძლივებს „ოცნება“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდს?***

– ეს ხელისუფლება უკვე დასრულებულია, უბრალოდ, ქართველმა ხალხმა ეს პროცესი მშვიდობიანად უნდა გააფორმოს. რაც შეიძლება მშვიდად და წყნარად, ნაკლები დანაკარგებით, ისე, რომ ხვალინდელი დღის არ შეგვეშინდეს. მყარად დავდგეთ ფეხზე და გავაგრძელოთ ცხოვრება. ძალადობის მიმართულებით და ხელების გადაგრეხის კუთხით რაც გასაკეთებელი იყო, ივანიშვილმა უკვე ყველაფერი გააკეთა. ყველა რესურსი ამოწურა, ახლა ჯერი ქართველ ხალხზეა. ამ ხელისუფლების წამმზომი ჩართულია და მე ეჭვი მაქვს, რომ ძალიან მალე, ძალიან ცუდად დაასრულებს ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“!

# „მან ქამრით სცემა საკუთარ ბიძაშვილს, ასევე სცემა საკუთარ დას“

## ვინ არის დ.ს., რომელსაც ვახო სუთიძის დაჭრა ედება ბრალად

რამდენიმე დღის წინ, ვერაზე მოდის კრიტიკოსის დალი ჩიტალაძის 39 წლის ვაჟი, ისტორიკოსი ვახო სუთიძე დაჭრეს.

უცნობი მამაკაცი სუთიძეს თავს სახლის სადარბაზოში დაესხა და ცივი იარაღით ჭრილობები მიაყენა. მას მეცხრე საავადმყოფოში ოპერაცია ჩაუტარდა და ახლა თავს კარგად გრძნობს. პოლიციამ დანაშაულში ბრალდებული, 1969 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი დ.ს. უკვე დააკავა.

„ამბები“ ვახო სუთიძის ადვოკატს, მარიამ კუბლაშვილს დაუკავშირდა.

**მარიამ კუბლაშვილი:**

– პირი, რომელიც ვახოს თავს დაესხა, სასამართლომ წინასწარ პატიმრობაში დატოვა. გამოძიებამ მაქსიმალურად იმუშავა იმაზე, რომ ყოფილიყო მტკიცებულებების ერთობლიობა და მისთვის ბრალი 48 საათში წაეყენებინათ. იყო გათავისუფლების შანსი, რადგან არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები, მაგრამ იპოვეს დანა და მოწმეები, რომლებიც კონკრეტულ ფაქტებზე საუბრობენ.



თავდამსხმელს წინასწარ ჰქონდა შესწავლილი ის ადგილი, სადაც ვახო სუთიძეს თავს დაესხა. სწორედ ამიტომ შიდა კამერებში არაფერი ჩანს. თუმცა არსებობენ ადამიანები და გარე კამერების ჩანაწერები, სადაც ჩანს, როგორ აედევნა ის ვახოს და ექსპერტიზაც დაადასტურებს, რომ დანაშაული მან ჩაიდინა.

– თავად დაკავებული რას ამბობს?

– თავად დანაშაულს არ აღიარებს. ამბობს, რომ ვახოს ჩუმად გაჰყვა, მაგრამ თავდასხმის ფაქტს უარყოფს. ჩვენი ინფორმაციით, მან ქამრით სცემა საკუთარ ბიძაშვილს. ასევე სცემა საკუთარ დას, სამი დღით ადრე უმიზეზოდ ჩაარტყა ეკლესიაში სტიქაროსანს. მას პირობითი აქვს, რადგან შემაკავებელი ორდერი ჰქონდა დარღვეული. როგორც ვიცით, შემაკავებელი ორდერი დის ცემის ფაქტზე გამოუწერეს.

– გავრცელებული ინფორმაციით, მას ფსიქიკური პრობლემები აქვს. თუ ჩაუტარდა შესაბამისი ექსპერტიზა?

– შესაძლოა, ასეც იყოს და ეს თუ დადასტურდება, მას გაათავისუფლებენ პატიმრობიდან. ამის მიუხედავად, მაინც ვითხოვთ ფსიქოლოგიურ ექსპერტიზას და ვნახოთ, რა პასუხი იქნება.

ამ კუთხით ძალიან ცუდი მდგომარეობაა. თუ დაუდგინდა, რომ ფსიქიკური პრობლემები აქვს, ერთი წლით გადაიყვანენ, რაღაც წამლებს მისცემენ, დაამშვიდებენ, შემდეგ გაათავისუფლებენ და თუ წამალს არ დალევს, ისევ იგივეს ჩადენის საფრთხეა. მამა გიორგის ჩვენება დევს საქმეში, ყველამ იცის, ვინც არის ეს კაცი. საკუთარ დაზე ძალადობდა, წარმოგიდგენიათ, რა დონეზე მიიყვანა და, რომელმაც უჩივლა? საშიში და მოძალადე ადამიანია.

– თავად ვახო სუთიძე როგორ არის ახლა?

– ვახო კარგად არის. კარგი ექიმი შეხვდა, მაგრამ კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა: როცა დაუგეგმავი ინციდენტის გამო ჯანმრთელობა გიზიანდება, სახელმწიფო არანაირ თანამონაწილეობას არ იღებს. ქუჩაში თუ შემთხვევით სიკვდილს გადაურჩი, მატერიალური ხარჯებიც ოჯახმა უნდა გაწიოს.

ვახოს ვინც იცნობს, ყველამ იცის, როგორი წესიერი და მორწმუნე ადამიანია, სწორედ ამიტომ აირჩია ის თავდამსხმელმა. ვახო იხსენებს, რომ იმ დღეს ეკლესიაში როცა დაინახა, მას აკვირდებოდა. უცნაურად ჩაცმული ჩუმი ადამიანია. ვახოს წინიდან რომ დახვედროდა, შესაძლოა, მოეკლა. ამ ინციდენტით ოჯახს ფიზიკური, მატერიალური და მორალური ზიანიც მიადგა.

*ამბები*

# ზვიად კორძაძე: „გახარიას წერილზე“ ათეულობით თითის ანაბეჭდია აღმოჩენილი“



– ინგლისში ჩატარდა ექსპერტიზა, ჩვენ მივიღეთ დისკი, რომელზეც ასახულია ექსპერტიზის შედეგები, აღმოჩნდა, რომ მასზე ათეულობით თითის ანაბეჭდია აღმოჩენილი.

ამის შესახებ თიბისი ბანკის დამფუძნებლების ადვოკატმა, ზვიად კორძაძემ „არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციასთან“ შეხვედრისას განაცხადა.

როგორც ადვოკატი განმარტავს, იმ წერილზე, რომელზეც მამუკა ხაზარაძე აცხადებს, რომ მას გიორგი გახარიამ მისწერა, ათეულობით თითის ანაბეჭდია ასახული. ადვოკატი ექსპერტიზის შედეგს პროკურატურას წარუდგენს.

– ამ დისკს პროკურატურაში წარვადგენთ. მასზე ათეულობით ანაბეჭდია. დანარჩენი გამოძიების საქმეა, არცთუ ისე რთული, მან უნდა მოახდინოს ამ ანაბეჭდების იდენტიფიკაცია და შემდეგ უნდა გამოკითხოს ეს პირები და დაუსვას ერთი კითხვა, როგორ მოხვდა მათი ანაბეჭდი ამ წერილზე.

ბრიტანეთიდან ამ ეტაპზე არ ველოდებით დამატებით რამეს ექსპერტიზის სახით. გრძელდება ლინგვისტური და სხვა სახის ექსპერტიზები, მაგრამ ეს არ უშლის ხელს, რა მონაცემებიც გვაქვს, ისინი პროკურატურას წარვუდგინოთ. რადგან ინგლისს საქართველოს მოქალაქეების ანაბეჭდების ბაზა არ გააჩნია, შეუძლებელია, ამ ეტაპზე ითქვას, ვისი ანაბეჭდი არის ზედ, – განაცხადა კორძაძემ.

მისი თქმით, ის პირები, რომლებიც მამუკა ხაზარაძესა და გიორგი გახარიას შორის შუამავლის ფუნქციას ასრულებდნენ, ამ დრომდე არ გამოკითხულან.

– როცა მამუკა ხაზარაძე გამოიკითხა, მან დაასახელა ადამიანები, რომელთაც იმ საღამოსვე გაუზიარა წერილის არსებობის შესახებ, დაასახელა ბიზნესმენები, ვისთანაც ჰქონდა საუბარი, დაასახელა შეხვედრა ბიზნესმენების, სადაც ამაზე ისაუბრა.

პროკურატურას არც ერთი მათგანი არ გამოუკითხავს, ისე განაცხადა მეორე დღეს, რომ გამოძიების საფუძველი არ ჰქონდათ. ველოდებით შემდეგ რამეს, დასახელებული ჰყავს ადამიანები და ეს ადამიანები გამოიკითხონ, შეუძლიათ ბევრი სხვა საგამოძიებო მოქმედება ჩაატარონ და ეს ანაბეჭდები შეადარონ ბაზას, რომელიც გააჩნიათ და დაუსვან მარტივი კითხვა, საიდან აღმოჩნდა, ეს ანაბეჭდები იმ წერილზე.

შუამავლის დასახელება ჩემი პრეროგატივა არ არის, შესაბამისად, მამუკა ხაზარაძე გადაწყვეტს, როდის დაასახელოს შუამავალი. ამ მტკიცებულების შემდეგ, ვინაობის დასახელება აზრს კარგავს. გამორიცხული არ არის, შუამავლის ანაბეჭდიც იყოს წერილზე.

მამუკა ხაზარაძემ რაც ამ წერილის არსებობის შესახებ განაცხადა, პროკურატურამ დაგვიბარა და ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოში წავედით. განგვიმარტეს, რომ მოქმედი საქმის ფარგლებში ვიკითხებოდით, რომელიც ფულის გათეთრებაზე მიმდინარეობდა.

საქმის მასალების გადმოცემისას ეს გამოკითხვა საქმის მასალებში არ იყო. შესაბამისად, ჩემთვის გაუგებარია, რა სამართლებრივ სივრცეში უნდა გადავცე ეს დისკი, მაგრამ აუცილებლად გადავცემ, – განაცხადა ადვოკატმა კორძაძემ.

***

თადუმაძის უწყებაში ამბობენ, რომ ე.წ. „მუქარის წერილზე“ გამოძიება თავად მამუკა ხაზარაძემ შეიყვანა ჩიხში, როდესაც არ წარადგინა წერილის დედანი.

„წერილის“ იდენტიფიცირების კუთხით თუ იქნება გარკვეული პროგრესი, პროკურატურა დაუყოვნებლივ მოახდენს სამართლებრივ რეაგირებას.

– მამუკა ხაზარაძის მიერ წარმოდგენილი ე.წ. წერილი დოკუმენტის სახით დაუყოვნებლივ დაერთო მოქმედ სისხლის სამართლის საქმეს, რაც პროცესუალურად ნიშნავს, რომ მასზე გამოძიება დაწყებულია და გრძელდება.

გამოძიების ეს ეპიზოდი ჩიხში შეიყვანა თავად მამუკა ხაზარაძემ, რომელმაც არ წარმოადგინა არც „წერილის“ ორიგინალი და სასამართლოში გამოკითხვისას არ დაასახელა შუამავალი. შესაბამისად, როგორც პროკურატურამ უკვე არაერთხელ განმარტა, გამოძიება მოკლებული იყო შესაძლებლობას, მოეხდინა ე.წ. წერილის იდენტიფიცირება.

თუ ამ კუთხით იქნება გარკვეული პროგრესი, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია მამუკა ხაზარაძის პოზიციაზე, საქართველოს პროკურატურა დაუყოვნებლივ მოახდენს სამართლებრივ რეაგირებას, – განაცხადეს პროკურატურაში.

# ადვოკატი თოდუა: „მიხეილ კალანდია „ოცნების“ და „ევროპული საქართველოს“ გარიგების გამო ზის ციხეში“

– მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ მიხეილ კალანდია არის საქართველოს პარლამენტის მმართველი პოლიტიკური ძალისა და „ევროპული საქართველოს“ ერთობლივი გარიგების პროდუქტად ციხეში მოთავსებული ადამიანი.



ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბრისას მიხეილ კალანდიას ადვოკატმა ზურაბ თოდუამ განაცხადა.

მისი თქმით, მათი ეს გადაწყვეტილება ზაზა სარალიძის დაშოშმინებას ემსახურება.

– ოღონდ არ იყოს „ბუნტი“, ამ პრინციპს ემსახურება მათი ეს გადაწყვეტილება, ამით დააშოშმინეს სარალიძე, რომელიც ძალიან დიდ პრობლემას უქმნიდა ქალაქს და სახელმწიფოს თავისი საქციელით, ამის გამო გაითამაშეს ეს სპექტაკლი და მიხეილ კალანდია მოთავსებულია საპყრობილეში სრულიად დაუსაბუთებლად, – განაცხადა ზურაბ თოდუამ.

მისი თქმით, 12 სექტემბერს სასამართლოში დანიშნულია სხდომა, რომელიც დახურულია და აუცილებლად უნდა გასაჯაროვდეს.

– კალანდიას დაურღვიეს დაცვის უფლება, სხდომის საჯაროობის პრინციპი, შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპი, რის საფუძველზეც მაქვს შუამდგომლობა საქალაქო სასამართლოს მოსამართლის წინაშე, რომ სხდომა, რომელიც დახურულია სრულიად უსაფუძვლოდ, გასაჯაროვდეს.

პროკურატურის მიერ შეთითხნილი ბრალი დასაბუთებას ვერ ჰპოვებს და მიხეილ კალანდიას მიმართ უნდა დადგეს გამამართლებელი განაჩენი, რამეთუ ვარაუდების საფუძველზე არათუ ადამიანის გასამართლება, დაკავებაც არ შეიძლება, – დასძინა ზურაბ თოდუამ.

მიხეილ კალანდია ხორავას ქუჩაზე დავით სარალიძის ჯგუფურად დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის ბრალდებით სამართალდამცავებმა 4 ივნისს დააკავეს.

მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 6 ივნისს შეეფარდა.

# ბექა მინდორაშვილი: „პოლიციაში ფეხებით დამკიდეს და ამიტომ ვთქვი, რომ ვანო მახარაშვილი მე მოვკალი“

გურჯაანის პოლიცია მორიგ სკანდალში ეხვევა. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, რომელსაც „მთავარი“ ასაჯაროებს, დგინდება, რომ 16 წლის არასრულწლოვანი, რომელიც პოლიციამ 34 წლის მამაკაცის, ვანო მახარაშვილის მკვლელობის ბრალდებით დააკავა, აწამეს და აიძულეს, დანაშაული ეღიარებინა.

არასრულწლოვანი ამბობს, რომ მას პოლიციელებმა ცემის შედეგად დააწერინეს, რომ მკვლელობის შემდეგ მან ცხედარი დაანაწევრა და მდინარეში გადაყარა.

საბოლოო ჯამში გაირკვა, რომ მამაკაცი, რომლის მკვლელობის ბრალდებით ბექა მინდორაშვილი დააკავეს, ცოცხალი იყო და სახლში მთიდან დაბრუნდა.

ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ბექა მინდორაშვილს დაზიანებები ბლაგვი საგნით ჰქონდა მიყენებული. მინდორაშვილის თქმით, პოლიციელი მას მდინარეში დახრჩობითაც ემუქრებოდა. ბიჭის მონაყოლის თანახმად, მას პოლიციელები მაშინაც გაუსწორდნენ, როცა აიყვანეს.

ბიჭი ამბობს, რომ არჩადენილი მკვლელობა არაადამიანური მოპყრობის შემდეგ აღიარა. მინდორაშვილის თქმით, ბოლოს ის გურჯაანის პოლიციის შენობაზე ფეხით დაკიდეს.

– ერთი პოლიციელი მცემდა, მეორემ კი თოფი გადატენა და მომადო. მეუბნებოდნენ, ახლავე თქვი, გვამი სად ჩააგდეო. ვტიროდი და ვეუბნებოდი, რომ არავინ მომიკლავს. თუმცა ორი პოლიციელი ჩემს ცემას აგრძელებდა. მეუბნებოდნენ, თქვი, რომ შენთან მოდიოდა, შენ კი მოკალიო.

ჩამავლეს ხელი და არხში მახრჩობდნენ. სიკვდილს ტყუილის თქმა ვარჩიე – ვთქვი, რომ მე მოვკალი და არხში გადავაგდე-თქო. მესამე სართულის ფანჯარაზე გადამკიდეს და მაგდებდნენ. 2 მკლავდა, არავინ გამოსულა პოლიციელი, ეტყობა, პირი ჰქონდათ შეკრული, – თქვა დაზარალებულმა.



მახარაშვილის მამის განცხადებით, პოლიცია მას არწმუნებდა, რომ ახალგაზრდა მამაკაცი 16 წლის მოზარდმა მოკლა.

– კაცი ცოცხალია, ისინი კი ამბობდნენ, რომ ყელი გამოჭრა და გადააგდო მდინარეშიო. ვეძებდით, თუმცა ვერაფერი ვიპოვეთ. ბოლოს ცოცხალი აღმოჩნდა, – აცხადებს მახარაშვილის მამა.

მასაც აქვს ინფორმაცია, რომ 16 წლის ბიჭმა არჩადენილი მკვლელობა ძალადობის შედეგად აღიარა.

***

ბექა მინდორაშვილის ინტერესებს საია იცავს.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში აცხადებენ, რომ პოლიციის განყოფილებაში ძალადობის ფაქტებმა იმატა, სამსახურებრივი მოვალეობის გადამეტების ფაქტზე დაწყებული გამოძიებები კი თაროზეა შემოდებული.

ნონა ქურდოვანიძე აღნიშნავს, რომ საიამ თავის ბოლო დასკვნაში 12 ასეთი საქმე გამოიკვლია, სადაც საუბარი იყო პოლიციელთა მხრიდან ძალადობაზე, თუმცა პროკურატურამ არც ერთი საქმე არ გამოიძია.

მინდორაშვილის საქმეს გენინსპექცია სწავლობს.

# თამარ საძაგლიშვილს პარანოიდული შიზოფრენია დაუდგინდა

## ადვოკატის განცხადება



პეკინის გამზირზე, 3 წლის ბავშვის დაჭრაში ბრალდებულ თამარ საძაგლიშვილს პარანოიდული შიზოფრენია დაუდგინდა. ამის შესახებ ინტერპრესნიუსს საძაგლიშვილის ადვოკატმა ალექსი გაბუნიამ განუცხადა.

ადვოკატი მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოება მისი დაცვის ქვეშ მყოფის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხავია. როგორც გაბუნია აცხადებს, მან საძაგლიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, ფორმა 100 იმ კლინიკიდან წამოიღო, სადაც ბრალდებული მკურნალობას გადიოდა.

გაბუნია აღნიშნულს საქმის მასალებს დაურთავს.

თამარ საძაგლიშვილს ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა ამ დრომდე არ ჩატარებია.

შემთხვევა პეკინის ქუჩაზე რამდენიმე დღის წინ მოხდა. მცირეწლოვანი მშობლებთან ერთად მოდიოდა, როცა მასთან გამვლელი ქალი მიიჭრა და სახის არეში დაჭრა. ქალი სამართალდამცავებმა რამდენიმე საათში დააკავეს.

თამარ საძაგლიშვილს საგამოძიებო უწყება 3 წლის ბავშვის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებასა და ასევე დაჭრილი არასრულწლოვნის დის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მცდელობას ედავება.

საძაგლიშვილს ამ დროისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული.

**მალამო „მენტორი პირველი“**

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

**მალამო მენტორი ხუთი**

**საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.**

**მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში.**

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

# ნეტანიაჰუ იორდანიის დასავლეთ სანაპიროს ანექსიას აპირებს

## ისლამური სახელმწიფოები საგანგებო სხდომას ჩაატარებენ



ერთი კვირის შემდეგ ისრაელში საპარლამენტო არჩევნებია. პრემიერმა ნეტანიაჰუმ განაცხადა, რომ გამარჯვების შემთხვევაში მდინარე იორდანიის დასავლეთ სანაპიროს ანექსიას განახორციელებს.

– ისრაელის სუვერენიტეტს იორდანიის ველსა და მკვდარი ზღვის ჩრდილოეთით გავავრცელებ, თუკი თქვენგან, ისრაელის მოქალაქეებისგან, შესაბამის მანდატს მივიღებ, – განაცხადა ბენიამინ ნეტანიაჰუმ.

1967 წლის შემდეგ ეს ტერიტორია ისრაელს აქვს ოკუპირებული, მაგრამ მისი ანექსია არ განუხორციელებია.

ნეტანიაჰუს სიტყვებმა ისრაელელი მემარჯვენეები აღაფრთოვანა. ისინი ნეტანიაჰუსთან თანამშრომლობას აპირებენ.

სამაგიეროდ, ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები ამ განცხადების გამო საგანგებო სხდომას ჩაატარებენ. სხდომის მოწვევის ინიციატორია საუდის არაბეთი.

შეხვედრაზე უნდა განიხილონ გეგმა, რომელიც ისრაელის მიმართ მიდგომის შეცვლას გულისხმობს.

სხდომის მოწვევა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე დაადასტურა ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა იუსეფ ბენ ახმადმა. მისი სიტყვებით, ისრაელის მიერ ესკალაციისკენ გადადგმული ეს ნაბიჯი უნდა განიხილონ და „ამ აგრესიული პოზიციის პასუხად ისლამური სახელმწიფოების ძალისხმევა გააერთიანონ“.

ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციამ სასტიკად დაგმო ისრაელის პრემიერ-მინისტრის გეგმა. ორგანიზაციას ნეტანიაჰუს აღნიშნული განცხადება მიაჩნია „პალესტინელი ხალხის უფლებებზე ახალ თავდასხმად, აგრეთვე გაეროს წესდების, საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და გაეროს შესაბამისი რეზოლუციების უხეშ დარღვევად“.

# იაპონიის პრემიერმა მთავრობა გადააყენა



იაპონიის პრემიერ-მინისტრმა სინძო აბემ გუშინ, 11 სექტემბერს, მთავრობა გადააყენა და კაბინეტში მასშტაბურ გადაადგილებებს განახორციელებს.

გადადგომის განცხადება ყველა მინისტრმა დაწერა და მათი ნაწილი მთავრობაში ველარ მოხვდება.

იგეგმება 13 მინისტრის შეცვლა. რამდენიმე ახალი მინისტრის ვინაობა უკვე ცნობილია. საგარეო საქმეთა მინისტრი ტარო კონო თავდაცვის მინისტრი გახდება, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს კი ეკონომიკის აღდგენის ყოფილი მინისტრი ტოსიმიცუ მოტეგი დაიკავებს.

# ბულგარეთში რუსი ჯაშუში ამხილეს

ბულგარეთის კონტრდაზვერვამ 50 წლის



მალინოვი დააპატიმრა. ის არასამთავრობო ორგანიზაცია „რუსოფილებს“ ედგა სათავეში.

დადგინდა, რომ მალინოვის მოქმედება იჯდა სქემაში, რომლის მიზანიც ბულგარეთის ნატოსა და ევროკავშირიდან გასვლა და რუსეთთან დაახლოება იყო.

მალინოვი გირაოთი გაათავისუფლეს. მიუხედავად ამისა, ის კონტრდაზვერვის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# რუსმა მეცნიერმა უდმურტული ენის შესანარჩუნებლად თავი დაიწვა



რუსმა მეცნიერმა უდმურტული ენის დაცვის მოთხოვნით, თავი დაიწვა.

79 წლის მეცნიერმა ალბერტ რაზინმა იჟევსკში, უდმურტეთის სახელმწიფო საბჭოს შენობასთან, ჯერ აქცია გამართა, სადაც უდმურტული ენის შენარჩუნების მოთხოვნით პლაკატით იყო მისული, შემდეგ კი ცეცხლი წაიკიდა.

მისი გადარჩენა მაშველებმა სცადეს, თუმცა მეცნიერი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ალბერტ რაზინი უდმურტული ენის შენარჩუნებითა და განვითარებით იყო დაკავებული.

## კალეიდოსკოპი

# კანადას მთვრალი ენოტები შეესივნენ



კანადის პროვინცია ონტარიოს მცხოვრებლები მთვრალი ენოტების შემოსევას განიცდიან. ამის შესახებ ერთ-ერთ ადგილობრივ ტელეარხს ადგილობრივი მცხოვრები ემილი როჯერსი მოუყვა.

მისი თქმით, ერთ-ერთი ენოტი, რომელიც ძლივს გადაადგილდებოდა, მისი სახლის ეზოში შევიდა. როჯერსმა ცხოველთა დაცვის ორგანიზაციას მიმართა, რომლის თანამშრომლებმაც ენოტი წაიყვანეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ სხვა ადგილობრივი მცხოვრებლებიც გადააწყდნენ ასეთ მდგომარეობაში მყოფ ცხოველებს.

კარლტონის უნივერსიტეტის ბიოლოგების თქმით, ცხოველებმა, სავარაუდოდ, სიცხისაგან გადამწიფებული ხილი შეჭამეს, რომელსაც დუღილი ჰქონდა დაწყებული და ალკოჰოლს გამოჰყოფდა. ექსპერტებმა ადგილობრივებს სთხოვეს, რომ ნუ შეეცდებიან ცხოველების გამოფხიზლებას და ასეთ შემთხვევაში დახმარებისთვის ცხოველთა დაცვის სამსახურს ან ვეტერინარს მიმართონ.

# დელფინმა მეთევზეებს შვილის გადარჩენისთვის მადლობა გადაუხადა



იტალიელ მეთევზეებთან, რომლებმაც სათევზაო ბადეში გაბმული პატარა დელფინი გაათავისუფლეს, მისი დედა მიცურდა.

მეთევზეებმა, რომლებიც ბადეებს ამოწმებდნენ ნეაპოლის ყურეში მდებარე კუნძულ პროჩიდასთან, მათში გაბმული პატარა დელფინი აღმოაჩინეს. როდესაც ის გაათავისუფლეს და გაუშვეს, მან წყლიდან რამდენიმე ნახტომი გააკეთა. შემდეგ მას დედა დელფინიც შეუერთდა, მანაც რამდენიმე ნახტომი გააკეთა. მეთევზეების აზრით, მათ ამით მათ მიმართ საკუთარი მადლიერება გამოხატეს.

# კენდალ ჯენერის ეროტიკულმა ფოტომ ფანები აღაშფოთა



ამერიკელმა სუპერმოდელმა კენდალ ჯენერმა საწოლზე დაწოლილ მდგომარეობაში, სხეულზე პირსახოცშემოხვეულმა გადაიღო ფოტოსურათი და კომენტარში მიუთითა, რომ ფოტოშოპით არ უსარგებლია. ფანებმა მისი ნათქვამი არ დაიჯერეს და სიცრუეში დაადანაშაულეს.

ახალი ფოტოსურათი ინსტაგრამში ჯენერის გვერდზე კოსმეტიკური ბრენდის Proactiv-ს რეკლამის ფარგლებში გამოქვეყნდა.

– გადაღებულია ფირზე, მაკიაჟისა და ყოველგვარი ფილტრების გარეშე. საკუთარ სხეულში თავს შესანიშნავად ვგრძნობ. საკუთარ რეჟიმთან სრულ ჰარმონიულობაში ვიმყოფები დღისით თუ ღამით, – დაწერა ფოტოსურათის კომენტარში ჯენერმა.

მისმა ხელმომწერებმა მაინც ჩათვალეს, რომ ფოტოსურათი დამუშავებულია.

– ფილტრები არ არის, მხოლოდ ფოტოშოპის ჩრდილებია, – დაწერა ერთმა ფანმა კომენტარში.

– ფილტრების გარეშე? დარწმუნებული ხარ? – დაინტერესდა მეორე ხელმომწერი.

– უამრავი შესწორებაა, მეთანხმებით? – იკითხა მესამემ.

– ფულისთვის ყველაფერზე ხართ წამსვლელი, ღირსების გრძნობა საერთოდ არ გაგაჩნიათ, – დაწერა მეოთხემ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**


# განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ვაქირავებ წინამძღვრიშვილზე 2-ოთახიან, იზოლირებულ ბინას, გარემონტებულს, ყველა საჭირო ნივთით. ბინას შესასვლელი აქვს სადარბაზოდან. ქუჩაში მეტალო-პლასტმასის ფანჯრებითა და აივნით. ფასი 700 ლარი. მაკლერები არ გამომეხმაუროთ. ტელ: 597-46-40-60.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლიზმის მკურნალობა მცენარეული საშუალებებით (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში ფარულად) „პახმელია“, ზაპოი“, ნერვული აღგზნებულობა, ღვიძლის პრობლემები (ციროზი) და სხვა – მხოლოდ მცენარეული და ფუტკრის პროდუქტებით. ტელ: 599-45-88-66; 597-98-95-99; 557-35-22-65. სერტიფიცირებული ექიმი, ფიტოთერაპევტი ნინო. მისამართი: ჭავჭავაძის 3, აღმაშენებელზე.

# ახალგაზრდული ნაკრები ჯგუფის ლიდერია

**აზერბაიჯანი-საქართველო 0:3**

**ბაქო. დალგა არენა**

0:1 არველაძე (45), 0:2 ბულრიძე (73), 0:3 არაბიძე (84)

**აზერბაიჯანი:** იბრაჰიმოვი (ზაკიევი 70), სეილიგლი, ტამაზოვი, გაჯიევი, ნაბიევი (მეგარამლი 46), სეიდიევი, იბრაჰიმლი (ჯაფურგულიევი 46), ეკინჩიერი, სეიდოვი, მანაფოვი, ოკსუზი (ქურბანლი 60)

**საქართველო:** გუგეშაშვილი, მალი (სპანდერაშვილი 86), ბერიაშვილი, ლოჩოშვილი, კობოური, ნინუა (კოხრეიძე 70), სილაგაძე, კუცია, არველაძე (კიტეიშვილი 78), არაბიძე, ქავთარაძე (ბულრიძე 70)

**გაძევება:** გაჯიევი (49)

ევროპის 21-წლამდე ფეხბურთელთა ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩში, ქართველმა ახალგაზრდებმა აზერბაიჯანის ნაკრები სტუმრად 3:0 დაამარცხეს. ეს იყო გია ცეცაძის გუნდის მე-2 თამაში ამ შესარჩევ ციკლში – ჩვენებმა რამდენიმე დღის წინ გორში ლიხტენშტეინის ეროვნული გუნდი 4:0 დაამარცხეს.



სადღეისოდ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები სატურნირო ცხრილს 6 ქულით ლიდერობს.

საქართველო საწყისი წუთებიდანვე უპირატესობას ფლობდა, რაც თითქმის ყველა კომპონენტში გამოიხატა. შესაძლოა, ანგარიში უფრო სოლიდურიც უნდა ყოფილიყო. ჩვენებს 17 საგოლე შანსი ჰქონდათ, მეტოქის 5-ის წინააღმდეგ. ცეცაძის გუნდმა კარში 10-ჯერ დაარტყა, როცა აზერბაიჯანელებმა ეს ერთადერთხელ გააკეთეს. სხვაობა იყო ბურთის ფლობაშიც – 56/44.

მიუხედავად დიდი უპირატესობისა, ანგარიში პირველი ტაიმის კომპენსირებულ დროში გაიხსნა, როდესაც ვატო არველაძემ კუთხურის შემდეგ მეტოქის საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა.

შესვენების შემდეგ საქმე კიდევ უფრო გაიოლდა – აზერბაიჯანელთა კაპიტანი გაჯიევი 2 ყვითელი ბარათის გამო მოედნიდან გააძევეს და რიცხობრივი უპირატესობა მივიღეთ. ცეცაძის გუნდმა რამდენიმე ხიფათი შექმნა მეტოქის კართან. განსაკუთრებით არველაძე აქტიურობდა, რომელმაც თითქმის ყველა წერტილიდან მოსინჯა გოლის გატანა, მაგრამ ხან სიზუსტე აკლდა, ხანაც იბრაჰიმოვი თამაშობდა შესანიშნავად. აზერბაიჯანელთა მეკარემ ნიკა ნინუასაც აუღო რთული ბურთი.

და მაინც, 73-ე წუთზე ჩვენებმა უპირატესობა 2-მდე გაზარდეს – წინა მატჩის მსგავსად, თავი ცვლილებაზე შემოსულმა ირაკლი ბულრიძემ გამოიჩინა. თუმცა, აქ უნდა აღვნიშნოთ სწრაფი კონტრშეტევა, როდესაც არველაძემ გრძელი, გამოზომილი პასით მეკარესთან პირისპირ გიორგი არაბიძე დატოვა. საქართველოს ნაკრების კაპიტანს თავადაც შეეძლო კარში დარტყმა, მაგრამ უკეთეს პოზიციაში მყოფი ბულრიძე მოძებნა და მანაც ცარიელ კარში შეაგდო – 2:0.

მალევე საქართველომ საბოლოო ანგარიში დააფიქსირა: ბულრიძემ გოლის შემდეგ საგოლე პასიც მიითვალა და არაბიძეს ვალი დაუბრუნა. გიორგიმ კი, საჯარიმოს გარედან მოჭრილი დარტყმით.

შემდეგ შეხვედრას საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები 11 ოქტომბერს, შვეიცარიასთან სტუმრად გამართავს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | 7:0 | 6 |
| 2.შვეიცარია | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| 3.ლიხტენშტეინი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:9 | 3 |
| 4.აზერბაიჯანი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| 5.საფრანგეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 6.სლოვაკეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

# მოჭიდავეები მსოფლიოზე ლიცენზიისთვისაც იბრძოლებენ

14-22 სექტემბერს ყაზახეთში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი ჭიდაობის ორივე სახეობაში – ბერძნულ-რომაული და თავისუფალი. მსოფლიო ჩემპიონატის პარალელურად გათამაშდება ოლიმპიური ლიცენზიები. 6 წონაში 6-6 საუკეთესო 2020 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიანტი გახდება.

ნურსულთანში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე თავდაპირველად საქმეში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები იასპარეზებენ. მათი ტურნირი 3 დღეს გაგრძელდება – 14-17 სექტემბერი.

მსოფლიო ჩემპიონატზე ბექა როყვას ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვა:

55 კგ: ნუგზარ წურწუმია; 60 კგ: დავით ჩხარტიშვილი; 63 კგ: ლევან ქავჟარაძე; 67 კგ: შმაგი ბოლქვაძე; 72 კგ: იური ლომაძე; 77 კგ: გელა ბოლქვაძე; 82 კგ: ლაშა გობაძე; 87 კგ: გურამ ხეცურიანი; 97 კგ: გიორგი მელია; 130 კგ: იაკობ ქაჯაია;

ოლიმპიური წონითი კატეგორიებია – 60, 67, 77, 87, 97, 130 კგ.

18 სექტემბერი დასვენების დღეა, ხოლო 19 სექტემბრიდან საქმეში თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩაებმებიან. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გიორგი იანტბელიძემ საქართველოს ნაკრების შემადგენლობა დაასახელა:

57 კგ: ოთარ გოგავა; 61 კგ: ბექა ლომთაძე; 65 კგ: ვლადიმერ ხინჩეგაშვილი; 70 კგ: ზურაბ იაკობიშვილი; 74 კგ: ავთანდილ კენჭაძე; 79 კგ: ნიკა კენჭაძე; 86 კგ: სანდრო ამინაშვილი; 92 კგ: ირაკლი მწითური; 97 კგ: ელიზბარ ოდიკაძე; 125 კგ: გენო პეტრიაშვილი;

აქ ოლიმპიური წონებია – 57, 65, 74, 86, 97, 125 კგ.




# ძალოსნები მსოფლიოსთვის დაირაზმნენ




საქართველოს ძალოსანთა ნაკრები დუშეთშია და 17-28 სექტემბერს, ტაილანდის ქალაქ პატაიაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება. გუნდი ტაილანდში 15 სექტემბერს გაემგზავრება.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, გიორგი ასანიძემ შემადგენლობა დაასახელა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებს. ტაილანდში მედლების გარდა, ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ქულები გათამაშდება.

**საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია:**

შოთა მიშველიძე, გოდერძი ბერდელიძე (ორივე 61კგ); გოგა ჩხეიძე (67); კახი ასანიძე, არჩილ მალაყმაძე (ორივე 73); რევაზ დავითაძე (89); ანტონ პლესნოი (96); ირაკლი ჩხეიძე (102); გიორგი ჩხეიძე, ლაშა ტალახაძე (ორივე +109).

სარეზერვო გუნდშია ლომია თებიძე (81).

# 19 წლამდე ნაკრებმა პოლონეთი დაამარცხა

საქართველოს 19-წლამდე ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადების პროცესში პოლონეთის წინააღმდეგ ამხანაგური მატჩი გამართა.

19-წლამდე ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი რაუნდის მე-13 ჯგუფში უნგრეთის, ხორვატიისა და ყაზახეთის ნაკრებებთან ერთად იასპარეზებს. ჯგუფური ეტაპის შეხვედრები 9-15 ოქტომბერს უნგრეთში გაიმართება.

მიხეილ მესხის სათადარიგო მოედანზე გამართული შეხვედრა ორმხრივი შეტევებით წარიმართა და ქართველი ფეხბურთელების გამარჯვებით 2:1 დასრულდა.

ანგარიში სტუმრებმა გახსნეს: მე-17 წუთზე პოლონელმა თავდამსხმელმა ბარტოშ ბიალეკმა საჯარიმოში ტექნიკურად ითამაშა და ახლო მანძილიდან აიღო ლუკა კუტალაძის კარი.

საქართველოს 19-წლამდე ნაკრებმა წონასწორობის აღდგენა პირველ ტაიმში მოახერხა, 34-ე წუთზე შედეგიანი დარტყმა გიორგი გულიაშვილმა შეასრულა.

შეხვედრის მეორე ნახევარში თამაშის სცენარი არ შეცვლილა, მომენტები ორივე გუნდის კართან შეიქმნა, თუმცა გამარჯვების გოლი რამაზ სვანაძის გუნდმა გაიტანა. 67-ე წუთზე გოლი ირაკლი აზაროვის შორეული გადაცემით, შეცვლაზე შემოსულმა, გიორგი იაკობიძემ გაიტანა.

**საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა:**

კუტალაძე, კაპანაძე, გელაშვილი, აზაროვი, მექვაბიშვილი (ლომინაძე 90), გულიაშვილი (ნონიკაშვილი 90), მოისწრაფიშვილი (გაგნიძე 82), მესიაჩენკო, ჯანგიძე, გაგუა (იაკობიძე 61), კალანდაძე.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*




# შედეგები

## 10 სექტემბერი

**ფეხბურთი**

**მჩ-2022. შესარჩევი ეტაპი**

| | |
|---|---|
| გუამი-ფილიპინები | 1:4 |
| მონღოლეთი-ტაჯიკეთი | 0:1 |
| ჩინეთის ტაიპეი-ნეპალი | 0:2 |
| კამბოჯა-ბაჰრეინი | 0:1 |
| სინგაპური-პალესტინა | 2:1 |
| ჰონკონგი-ირანი | 0:2 |
| მიანმა-იაპონია | 0:2 |
| ინდონეზია-ტაილანდი | 0:3 |
| მალაიზია-საემიროები | 1:2 |
| ავღანეთ-ბანგლადეში | 1:0 |
| თურქმენეთი-ს.კორეა | 0:2 |
| შრი ლანკა-ჩრ.კორეა | 0:1 |
| მალდივი-ჩინეთი | 0:5 |
| კუვეიტი-ავსტრალია | 0:3 |
| იემენი-ს.არაბეთი | 2:2 |
| ყატარი-ინდოეთი | 0:0 |

**აფრიკა**

| | |
|---|---|
| მალავი-ბოსტვანა | 1:0 |
| ზიმბაბვე-სომალი | 3:1 |
| ესვანტინი-ჯიბუტი | 0:0 |
| მოზამბიკი-მავრიკია | 2:0 |
| ანგოლა-გამბია | 2:1 |
| რუანდა-სეიშელი | 7:0 |
| სუდანი-ჩადი | 0:0 |
| ტოგო-კომორი | 2:0 |
| გვინეა ბისა-სან ტომე და პრინსიპი | 2:1 |
| ნამიბია-ერითრეა | 2:0 |

**ეჩ-2020. შესარჩევი ეტაპი**

**ევროპა**

| | |
|---|---|
| ალბანეთი-ისლანდია | 4:2 |
| ინგლისი-კოსოვო | 5:3 |
| ლიეტუვა-პორტუგალია | 1:5 |
| ლუქსემბურგი-სერბეთი | 1:3 |
| მოლდოვა-თურქეთი | 0:4 |
| საფრანგეთი-ანდორა | 3:0 |
| ჩერნოგორია-ჩეხეთი | 0:3 |

**ეჩ-2021. შესარჩევი ეტაპი (21)**

| | |
|---|---|
| ყაზახეთი-ისრაელი | 1:2 |
| ჩრ.მაკედონია-ფარერები | 7:1 |
| საბერძნეთი-ლიეტუვა | 1:0 |
| უკრაინა-მალტა | 4:0 |
| პოლონეთი-ესტონეთი | 4:0 |
| ფინეთი-ჩრ.ირლანდია | 1:1 |
| აზერბაიჯანი-საქართველო | 0:3 |
| დანია-რუმინეთი | 2:1 |
| იტალია-ლუქსემბურგი | 5:0 |
| ლიხტენშტეინი-შვეიცარია | 0:5 |
| შვედეთი-ირლანდია | 1:3 |
| ბელარუსი-პორტუგალია | 0:2 |
| ჰოლანდია-კვიპროსი | 5:1 |
| სერბეთი-ლატვია | 1:1 |
| ბულგარეთი-რუსეთი | 0:0 |
| ესპანეთი-ჩერნოგორია | 2:0 |
| ბელგია-ბოსნია | 0:0 |
| უელსი-გერმანია | 1:5 |
| ხორვატია-შოტლანდია | 1:2 |

**კალათბურთი**

**მსოფლიო ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| არგენტინა-სერბეთი | 97:87 |
| ესპანეთი-პოლონეთი | 90:78 |

# სამგლოვიარო განცხადებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი ასპირანტი, საქართველოს ყოფილი ფინანსთა მინისტრი, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე, უნივერსიტეტის პროფესორი, მაკროეკონომიკური კათედრის ხელმძღვანელი, ეკონომიკის დოქტორი

**ნოდარ ხადური**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა და ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე უნივერსიტეტის მაკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი

**ნოდარ ხადური**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. დინამიტის გამომგონებელი შვედი მეცნიერი; 2. მეთევზეთა, მეზღვაურთა მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 3. ფრანგი მოდელიორი; 5. მოკრივეთა, რაგბისტთა კბილების დამცავი რეზინის რგოლი; 6. მდინარის ჩქერებიანი მონაკვეთი; 8. წვრილი, წვნიანი ნაყოფის მქონე ბუჩქოვანი მცენარეების საერთო სახელწოდება; 11. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 13. ქართველი პოეტი; 14. ქარბორბალას სახელწოდება აშშ-ში; 15. ქოლერას ძველი ქართული სახელწოდება; 19. შაქრის ლერწმისგან დამზადებული არაყი.

**თარაზულად:** 1. რაიონული ცენტრი ჯავახეთში; 4. გულის ერთ-ერთი განყოფილება; 7. ზღვების, ტბების ფსკერზე ბინადარი ცოცხალი ორგანიზმების საერთო სახელწოდება; 9. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 10. მდინარე, ხეობა აფხაზეთში; 12. ტვირთის მცირე ხნით შესანახი სათავსო ნავსადგურში, საბაჟოზე; 16. ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი; 17. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი, ეროვნული გმირი; 18. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 20. მოხეტიალე მომღერალი მუსიკოსი ძველ საბერძნეთში; 21. ტერიტორიული ერთეული შვედეთში; 22. ჯუზეპე ვერდის ოპერა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროვორდი ა**

**შვეულად**: 1. ბატერფლაი; 2. დიუპონი; 3. შეკელი; 4. მანგო; 5. ფლირტი; 11. გვრინი; 12. აგუერო; 14. ჯინი; 16. პროტონი; 17. ტყიბული; 19. ტროტილი; 21. სიდრი; 22. ბუტკო.

**თარაზულად**: 6. ჯაფარიძე; 7. სტაპელი; 8. გაყრა; 9. ორფოლო; 10. ლარგო; 13. ბარჯი; 15. სპირიჩუელი; 18. ლიბრეტო; 20. ყაჭი; 21. სუდოკუ; 23. ჰიპერტონია; 24. ლაზერი.

**კროვორდი ბ**

**შვეულად**:: 1. ხახული; 2. ჩედერი; 3. რომბი; 5. თული; 6. ლორისი; 8. ჰოპერი; 11. ზვარტნოცი; 13. სპეტაკი; 14. სოკრატე; 15. ხილნარი; 19. დეფო.

**თარაზულად**: 1. ხელვაჩაური; 4. მუხთალი; 7. ხავერდი; 9. ბომონდი; 10. ისტრი; 12. გლეტჩერი; 16. უილიამსი; 17. ვექტორი; 18. კროსვორდი; 20. ცემენტი; 21. კივი; 22. პასპორტი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


12 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9624

ევრო — 3.2634

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6624

100 რუსული რუბლი — 4.5373

## ამინდის პროგნოზი 12 სექტემბერი




## დევიდ გარეტი სპორტის სასახლეში კონცერტს გამართავს



13 სექტემბერს მსოფლიოში ცნობილი მევიოლინე დევიდ გარეტი თბილისში სპორტის სასახლეში კონცერტს გამართავს.

მუსიკოსმა საქართველოში ვიზიტამდე მის გულშემატკივარს ასე მიმართა:

– გამარჯობა საქართველო, მგონი სწორად გამოვთქვამ! მე დევიდ გარეტი ვარ! ჩვენ ჩამოვდივართ საქართველოში 13 სექტემბერს, იმედია ყველას განახავთ და შევასრულებთ ჩვენს ახალ პროგრამას ჩვენს ბენდთან ერთად. ეს ჩემთვის მართლაც დიდებული რამ იქნება!

## ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ დავით აღმაშენებლის მონეტას თბილისში ჩამოიტანენ



დავით აღმაშენებლის მონეტას, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული და ერთადერთია მსოფლიოში, საქართველოში ჩამოიტანენ და პირველად გამოფენენ.

„ქრისტე, დავით მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა“ – დავით აღმაშენებლის მონეტა ამ წარწერითა და გამოსახულებით ერთადერთია მსოფლიოში.

მონეტის ნახვის შესაძლებლობა დამთვალიერებელს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში სულ მალე მიეცემა.

## ილია საჯაია „ფორსაჟი 9-ის“ გადამღებ ჯგუფში აიყვანეს



მხატვარი ილია საჯაია, რომელიც ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მხატვარია, „ფორსაჟი 9“-ის გადამღებ ჯგუფში აიყვანეს.

ილია საჯაია რუსთაველის თეატრთან არსებული გოგი ალექსი-მესხიშვილის სახელოსნოს სტუდენტია.

„ფორსაჟი 9-ის“ გადაღებები თბილისსა და რუსთავში მიმდინარეობს.

## ზაზა ურუშაძემ კინოაკადემიის პრეზიდენტის თანამდებობა დატოვა



კინორეჟისორმა ზაზა ურუშაძემ საქართველოს კინოაკადემიის პრეზიდენტის თანამდებობა დატოვა:

– არანაირი სურვილი აღარ მაქვს, მონაწილეობა მივიღო იმ არაჯანსაღ პროცესებში, რომლებიც ბოლო დროს განვითარდა კინოაკადემიაში და პრინციპულად მიუღებელია ჩემთვის.

ურთიერთდაპირისპირებისა და ინტრიგების ფონზე მოგებას ფასი აღარ აქვს.

აუცილებელია კინოაკადემიის გაახალგაზრდავება, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა უნდა გაწევრიანდეს ამ ორგანიზაციაში, რადგან, დარწმუნებული ვარ, სწორედ ამ შემთხვევაში ექნება პერსპექტივა საქართველოს კინოაკადემიას.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი

### 12 სექტემბრისთვის



**ვერძი** – გეგმები თამამად შეიმუშავეთ. საქმიანი მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. **კურო** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. ფინანსებს გაუფრთხილდით. ერიდეთ შორს გამგზავრებას. **ტყუპები** – ადრე დაწყებული საქმის დასამთავრებლად იღბლიანი დღეა. ვარსკვლავები გწყალობენ. **კირჩხიბი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ, მაგრამ არ მოდუნდეთ. ისწავლეთ და იშრომეთ შეუპოვრად. **ლომი** – ახალშეძენილი თანამოაზრეები მიზნის მიღწევაში გეხმარებიან. მთავარია დისციპლინა და ორგანიზებულობა. **ქალწული** – ჩანაფიქრს ნურავის გაუმხელთ, თორემ საქმე ჩაგეშლებათ. ახალგაცნობილი ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. ნებისმიერ სიტუაციაში წინდახედულობა გმართებთ. **ღრიანკალი** – რეალობას ნუ მოსწყდებით და ილუზიებს ნუ აჰყვებით. პროფესიული კუთხით მცირე პრობლემები იჩენს თავს. **მშვილდოსანი** – სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. საკუთარი პრინციპები დაიცავით. შეცდომის დაშვებისგან თავი მაქსიმალურად დაიზღვიეთ. **თხის რქა** – ახალგაცნობილი ადამიანები გარკვეულ უსიამოვნებას შეგიქმნიან. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **მერწყული** – პასიური დღეა. საღამოს სასიამოვნო სიახლეებისათვის მოემზადეთ. **თევზები** – სურვილი გისრულდებათ. იაქტიურეთ. საღამოს დაისვენეთ მყუდრო გარემოში.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ქალი რეკავს:
– ალო, სასწრაფოა?
– დიახ, გისმენთ, რა მოხდა?
– ბავშვმა საწერი კალამი გადაყლაპა.
– ახლავე გამოვდივართ.
– და მანამდე რა ვქნათ?
– ფანქრით წერეთ...

•••

აფთიაქში გოგო და ბიჭი შევიდნენ. გოგონა გამყიდველს ეკითხება:
– როგორი პრეზერვატივები გაქვთ?
– აი იმ ვიტრინასთან მიდით და თავად შეარჩიეთ.
ამ დროს ბიჭმა გამყიდველს გადაუჩურჩულა:
– და ძილის წამალიც თუ შეიძლება.

•••

ხანდაზმულ მამაკაცს ეკითხებიან:
– როგორ დაახასიათებდით სამი სიტყვით თქვენ ცხოვრებას?
– ბავშვობა, სიღარიბე, ბავშვობა.

•••

ერთი დაქალი მეორეს უყვება:
– გუშინ, როდესაც გოგიმ ისევ დამიწყო ხელების ფათური, ავდექი და პირდაპირ მივახალე, რომ მისი დანახვაც კი არ მინდოდა.
– მერე, იმან რა გიპასუხა?
– არაფერი, ადგა და შუქი ჩააქრო.

•••

ნათესავი სომეხს ეკითხება:
– არმენ, მართალია, რომ ბანდიტებს მთელი შენი ფული და ოქრო მიეცი?
– ჰო. უკან „პაილნიკი“ შემირჭეს, მუცელზე უთო დამადეს და დენზე შეუერთეს!
– და მერე, მაშინვე მიეცი?
– აბა, კიდე დენს ხომ არ დავაწვევინებდი?

•••

პაციენტი ექიმს ეუბნება:
– ექიმო, განავალი და შარდი მოვიტანე...
– ანალიზებისთვის?
– არა, დეგუსტაციისთვის!

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ნეიმარი ზამთარში შესაძლოა პსჟ-დან წავიდეს



პსჟ-ს ბრაზილიელი ვარსკვლავი ნეიმარი ზამთარში შესაძლოა გუნდიდან მაინც წავიდეს, მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერჯერობით პსჟ-ში დარჩა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფრანგულ გუნდში მობეზრდათ ნეიმარის მუდმივი კაპრიზები და ხელსაყრელი შეთავაზების შემთხვევაში მას გაყიდიან.

ჯერჯერობით ასეთი შეთავაზება პსჟ-ს არ მიუღია, რადგან პარიზელები ნეიმარში ძალიან დიდ თანხას ითხოვენ და ეს თანხა თითქმის 300 მილიონია. თუ რომელიმე გუნდი შეძლებს ამ თანხის გადახდას, ნეიმარს უყოყმანოდ გაუშვებენ. ბრაზილიელი ვარსკვლავის შეძენის ყველაზე დიდ სურვილს მისი ყოფილი გუნდი ბარსელონა გამოთქვამს.

## კოუტინიო: „კლოპმა ბაიერნში წარმატება მისურვა“



მიუნხენის ბაიერნის ახალწვეულმა ფელიპე კოუტინიომ იურგენ კლოპზე ისაუბრა და თქვა, რომ მისმა ყოფილმა მწვრთნელმა მას წარმატება უსურვა.

კოუტინიოს აზრით, კლოპი მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელია და ლივერპულის წარმატებაც კლოპის დამსახურებაა:

– კლოპმა ბაიერნში გადასვლის შემდეგ მომწერა და მითხრა, რომ ჩემს წარმატებაში დარწმუნებულია. კლოპი უდიდესი მწვრთნელია და მას ყოველთვის შეუძლია ფეხბურთელი მოედანზე სათანადოდ განაწყოს. ლივერპულის წარმატება ბოლო წლებში დიდწილად მისი დამსახურებაა.

## მხითარიანმა არსენალიდან წასვლაზე ისაუბრა



სომეხმა ფეხბურთელმა ჰენრიხ მხითარიანმა არსენალიდან რომაში გადასვლაზე ისაუბრა და თქვა, რომ არსენალში ბედნიერი არ იყო.

მხითარიანმა ამის მიზეზად სათამაშო დროის უქონლობა დაასახელა:

– არ შეიძლება იმ გუნდში ბედნიერი იყო, სადაც ბოლომდე არ გენდობიან და სათამაშო დროს არ გაძლევენ. ჩემთვის მთავარია, გუნდში თავს საჭიროდ ვთვლიდე და იმედი მაქვს, რომაში სწორედ ასე იქნება. მინდა, რომ ამ გუნდთან ერთად ბევრ წარმატებას მივაღწიო.

## ზლატან იბრაჰიმოვიჩს შვედეთში ძეგლს დაუდგამენ



ლეგენდარულ შვედ ფეხბურთელს ზლატან იბრაჰიმოვიჩს თავის სამშობლოში ძეგლს დაუდგამენ. ძეგლს ცნობილი მოქანდაკე პიტერ ლინდე დადგამს და მისი ადგილი მალმიოს სტადიონთან ახლოს იქნება, სადაც დაიწყო კიდეც ზლატანის საფეხბურთო კარიერა. ზლატანმა ამ თემაზე კომენტარიც გააკეთა და თქვა, რომ მას ძალიან ესიამოვნა შვედეთის საფეხბურთო ფედერაციისგან მსგავსი ყურადღება:

– ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ეს დიდი პატივია და მე გამონაკლისი არ ვარ. განსაკუთრებით გამიხარდა, რომ ძეგლი მალმიოს სტადიონთან იქნება, რადგან ეს ადგილი ჩემთვის ძალიან ძვირფასია.

## ვალენსია მწვრთნელის გარეშე დარჩა

ესპანური ფეხბურთის ერთ-ერთი წამყვანი კლუბი ვალენსია მწვრთნელის გარეშე დარჩა. მარსელინიო თანამდებობიდან გაათავისუფლეს და ამის მთავარი მიზეზი ხელმძღვანელობასთან კონფლიქტია.

მარსელინიოს არ სურდა, რომ გუნდის პრეზიდენტი სატრანსფერო პოლიტიკაში ჩარეულიყო, მაგრამ ეს მაინც ხდებოდა. საბოლოოდ მხარეები ვერ შეთანხმდნენ და მარსელინიო გაათავისუფლეს.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ დაიკავებს მის ადგილს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## დემნა გვასალია ახალ კოლექციას პარიზში წარადგენს



დიზაინერი დემნა გვასალია ბალენსიაგას ახალი 2020 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციას პარიზის მოდის კვირეულზე 29 სექტემბერს წარადგენს.

**დემნა გვასალია:**

– თავიდან პარიზის მაღალი მოდის პალატაში ჩვენს სახელზეც პრობლემა ჰქონდათ, ოფიციალურ კალენდარში არ გვსვამდნენ, რომ ჩვენება გაგვეკეთებინა. დღეს მირეკავენ და მეკითხებიან, ჩვენებისთვის რომელი დღე უფრო მაწყობს.

## ქუთაისში სტალაქტიდები დალეწეს



ქუთაისში, ზემო ჭახათაში, კლდიაშვილის ქუჩის ბოლოს მდებარე მღვიმეში სტალაქტიდები დალეწეს.

ინფორმაცია და ფოტოები ვახო სიხარულიძემ გაავრცელა:

– ზემო ჭახათაში, კლდიაშვილის ქუჩის ბოლოს სულ დალეწილი დაგვხვდა სტალაქტიდები. სირცხვილია.

ძალიან სამწუხაროა, თუ ასე გაგრძელდა, აღარაფერი დარჩება სანახავი, ბნელი ხვრელის გარდა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. ქალაქის თავი ჩეხეთში; 2. ქართველი სუმოისტი; 3. სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი; 4. საფრანგეთის ნავსადგური ლა-მანშის სრუტეში; 5. კომპანია „ფიატის“ დამფუძნებელი; 11. ყვითელი ფერის დაბალი ხარისხის შაქარი; 12. ავსტრიელი ექიმი-ფსიქიატრი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი; 14. ზღვის ღელვისგან დამცავი გრძელი კედელი ნავსადგურის შესასვლელთან. 16. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანი; 17. სანადირო თოფით სასროლი ყველაზე მსხვილი საფანტი; 19. ხრტილოვანი გამონაზარდი მუხლის სახსარში; 21. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ერაყში; 22. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 6. ჩხუბის, აყალ-მაყალის გამომწვევი ადამიანი; 7. უმაღლესი კატეგორიის დიპლომატი; 8. კოვბოების შეჯიბრი; 9. ქართველი ავტომრბოლელი; 10. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 13. გულის ან ბრონქების დაავადებით გამოწვეული სულის ხუთვა; 15. ასფალტზე სასრიალო გორგოლაჭიანი მოწყობილობა; 18. ქალის ძვირფასთვლებიანი თავსამკაული; 20. გერმანული მსუბუქი ავტომობილი; 21. მოდუღებული ყურძნის წვენი; 23. უმაღლესი სასულიერო პირი მართლმადიდებელ ეკლესიაში; 24. მწყრის მართვე.

*შეადგინა თ..კოპალეიშვილმა*